



ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

E-mail: roland.jalagania@mail.ru

№365 (424) 31 მაისი – 7 ივნისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააჟი შენიძა



გერიანს ცნობილი მწერლების კომენტარები აინტერესებდა, თორემ უნიჭობები კალდაბანების გარეშე ასხამდნენ სოფტას

გვ.2

განცხადება
საზოგადოებრივი-სახალხო მოძრაობა “აბაშელი” უერთდება საზოგადოება “ზუგდიდელის” საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ განცხადებას (გამოქვეყნდა გაზეთ ილორში №363), სადაც დაფიქსირებულია ყველა სადაც მოაზროვნე ქართველის აზრი და ვინც ამ აზრს არ იზიარებს, იმათ ქართველობა უკვე დიდი ხნის დაკარგული აქვთ, ან მათ გენში საერთოდ არ ყოფილა ამგვარი მუხტი და ისინი, უბრალოდ, ქართული მიწით იკვებებიან, მაგრამ ეს მიწა არ უნდა ეღირსოთ მათ.
საზოგადოება “აბაშელის” თავმჯდომარე **ვახტანგ კვიციანი**

გამანთი კაკაბია:
რას ნაკომადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში, და რა ინვესტს შესდომებს სიჭყვიის ეპიპოლოგიის დაღბენისას



გვ.3



ვახტანგ ხარჩილაძე:
თითქოს სააკაშვილი გველაპარაკებოდა ოდენიდან პაატა გურჭულაძის პირით

გვ.6

იზა თამაზაშვილი:
ხელისუფლების ცვლილება შედეგს მანამ არ მოიტანს, სანამ ევროპეარიკული იმპერიალიზმის დემოკრატიული კლანჭებიდან თავს არ დაავიხსნით

გვ.9

მირიან ჯალაღონია:
არ დაგამახინჯოთ მებრული ენა

გვ.4



“არ მჭირდება მკვლელი მესაზღვრა, როგელსაც თავის ფუნქცია უიარაღოსთვის ტყვიის სროლა ჰგონია” – როგორ აფასებენ გიგა ოთხოვორიას მკვლელობას აფხაზეთში

გვ.5

...როდესაც გაგიჭირდათ, ოჯახის წევრის გადასარჩენად თბილისში ჩასვლის სითამამე გეყოთ, ახლაც უნდა გეყოთ ნამუსი და ხმა ამოიღოთ...



ლომის ღოგი — სიმიდის “ქართველი ნინაპარი”

გვ.8

ბერიას სწორილი მხარეების კომენტარები აინფორმირებს, თორემ უნიჭობა კალაპანების გარეშე ასახვდნენ სობას

(პრეზენტა დიდი მართვლი მუხრანს დაბაღვიბიან 123-ე წლისთავს)



“მოელი ჩემი იდეალები დაინგრა. კერძო ცხოვრება და სისარული აღარ შემჩნა. სრულიად უგარგისი გავხდი ამ ცხოვრებისათვის... უნიჭობისგან ამ მიზეზებზე, საზღვარგარეთ წასვლის ნებას არ მაძლევდნენ, არც შურნალისა და გაზეთის გამოცემის ნებას მაძლევდნენ, პირზე ბოქლომი მაძევს, ხელ-ფეხი შეგრული მაქვს. მარტო ვარ მიღეთის მტრების წინააღმდეგ... ათასწლიად მირჩევნია ციხეში ვცავდეთ. მინდა, გადავგარდე სადმე მოუხალეთში, მაგრამ ვაი, რომ დავიღალე ამდენი ყილით და გული აღარ მერჩის... ახლა ისე გამოფიქრული ვარ... ძილი აღარ მაქვს, თვალები მტკივა, ნერვები აღარ მივარგა...” - სწერდა კონსტანტინე გამსახურდია თავის მეუღლეს, რებეკა ვაშაძეს, 1925 წელს... და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო... ვისი ფიარველობით შეინარჩუნა მწერალმა ფიზიკური და შემოქმედებითი სიცოცხლე ამის შესახებ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო სიგუა გვესაუბრება.

- 30-იან წლებში მწერალთა ერთ ჯგუფს ლავრენტი ბერიამ კომუნისტურ პარტიაში შესვლა შესთავაზა. კონსტანტინეს ხუმრობით უთქვამს: პარტიაში როგორ არ შევიდოდი, მაგრამ ვიცი, მალე გასარიცხი ვიქნები. ბერიას გასაცინებია და ძალი არ დაუტანებია. ლავრენტი ფიარველობდა კონსტანტინეს, ბევრჯერ დაესმარა. მწერალი თბილისში მის სახლში დადიოდა, მოსკოვშიც აკითხავდა. არსებობს ბერიასთვის გაგზავნილი კონსტანტინეს წერილები. “მოვარის მოტაცების” ფინალში სწორედ ლავრენტი ბერიამ გამოფიქრული პენსიონის ცეკას ახალი მდივნის პერსონაჟის სახით.

- მაინც რა იყო ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ ლავრენტი ბერიას ასეთი უწყველო კეთილგანწყობის მიზეზი?

- ლავრენტი წარმოშობით აფხაზეთიდან იყო - სოფელ მერხეულიდან, ამ მხარეზე ზრუნავდა, ცდილობდა, იქ ქართველი მოსახლეობა შესულიყო. მაშინ აფხაზეთი სეპარატისმის იმავე გზას ადგა, როგორც ეს დღეს ხდება. “მოვარის მოტაცება” აფხაზეთზე დაწერილია. ზემოაღნიშნულ, თარაშ ემხვარი, თამარ შერვაშიძე - ყველანი აფხაზეთი არიან. ბერიას უყვარდა ეს რომანი. მისი ცოლი - ნინო გეგეჭკორი მეგრელი იყო. სახლში ნინოს და ლავრენტის სასაუბრო ენა მეგრული გახლდათ. მართალია, თავად ლავრენტი წოდებდა არ კითხულობდა, მაგრამ ნინო განათლებული ქალი იყო. სამსახურიდან ღამე დაბრუნებულ ქმარს ქალი 2 წლის მანძილზე “მნათობში” დაბეჭდილ “მოვარის მოტაცებას” უკითხავდა. ლავრენტის სიამოვნება აფხაზური ამბების, თქმულებებისა და ლეგენდების მოსმენა - ეს საკუთარ ბავშვობას ახსენებდა. ასე რომ, რომანის მიმართ თავიდანვე კეთილგანწყობილმა ბერიამ მოგვიანებით რომანის სამ წიგანს გამოცემასა და რუსულად თარგმნის საქმეს შეუწყო ხელი.

ბერიამ კონსტანტინე დაიბარა და უთხრა, რომ რომანის განხილვა მალედ დონეზე ჩატარდებოდა. განხილვა მწერალთა კავშირში 4 დღის მანძილზე მიმდინარეობდა. თავმჯდომარე მიხეილ ჯავახიშვილი გახლდათ. მაჩაბლის ქუჩაზე ხალხის სიმრავლის გამო ცხენოსანთა მილიცია იდგა და ხალხს ასე აკავებდა. ხსლომები სადამოს 7 საათიდან დამოს 3 საათამდე გრძელდებოდა. სიტყვით გამოვიდა ყველა ცნობილი მწერალი და პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის გარდა. ეს იყო რომანის ტრიუმფული განხილვა, რომლის მსგავსი ქარ-

თული ლიტერატურის ისტორიაში არ ყოფილა. ეს ყველაფერი კი ბერიას მიერ გახლდათ სანქცირებული. როცა კონსტანტინე მოსკოვში ჩავიდა, ამის შესახებ ყოველთვის ატყობინებდა ბერიას. მწერალს კონკრეტულ დამოძებზე წასვლა უწყევდა, რადგან სხვანაირად,

ბერიაც ვერ შეძლებდა მის გადარჩენას. გარდა ამისა, სტალინმაც და ბერიამაც კარგად იცოდნენ მწერლის ფასი, მათ სწორედ ცნობილი მწერლების კომენტარები აინტერესებდათ, თორემ უნიჭობით ძალდატანების გარეშეც ვერდნენ მსგავსი დიტირამების სტალინზე. მათ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას მსგავსი ადამიანები აინტერესებდათ. ამიტომ იყო კონსტანტინე მუდმივი თვალთვალის, დევნის, შესწავლისა და კრიტიკის ობიექტი, რათა მისი დიდი ნიჭი და განათლება სასურველი კუთხით წარემართათ. მისი წიგნები მხოლოდ ცეკას ნებართვით იბეჭდებოდა.

ხელოვანის თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა და ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა. ერთხელ, ბერიამ კონსტანტინე დაიბარა და სტალინის 60 წლის იუბილის აღსანიშნავად ბელადზე რომანის დაწერა შესთავაზა. კონსტანტინემდე იმავე წინადადებით მიხეილ ჯავახიშვილისთვის მიუმართავს. ჯავახიშვილს შემდეგი პირობები წაუყენებია: კარგი პონორარი, მანქანა, მდივანი... მოკლედ, სრული კომფორტი. ამის შემდეგ ბერიამ გამსახურდია დაიბარა. პირობებზე მწერალმა თქვა: არაფერი მინდა კალმისა და სუფთა ქაღალდის მეტი. ბერიას, ბუნებრივია, ასე ერჩივნა და არჩევანი სწორედ კონსტანტინეზე შეაჩერა. მწერალმა მონიჭებული თავისუფლებით ისარგებლა და სტალინზე რომანის პარალელურად სულ რაღაც ექვს თვეში “დიდოსტატის მარჯვენა” დაწერა. 1939 წელს “ბელადი” დაიბეჭდა. სტალინს რომანი არ მოეწონა... ეს არ იყო და ვერც იქნებოდა ობიექტური რომანი, არამედ, პოეტოზებული, ესთეტიზებული ნაწარმოები შეიქმნა. რომანი სტალინის ბავშვობას ცამეტი წლის ასაკამდე, თბილისში გადმოსვლამდე აღწერდა. მწერალი ვერ ასახავდა მოვლენებს ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო. მაგალითად, სოსო იმედაშვილი სტალინის ბავშვობის მეგობარი იყო, რომელიც უცხოეთში გაიქცა და იქ სტალინის საღანძვლე წიგნებს წერდა. სტალინმა რომანის შესახებ აღნიშნა: “მე ასეთი ბავშვობა არ მქონია”.

რომანი სამ წიგანად უნდა გამოხულიყო, მაგრამ ამის შემდეგ არც მეორე და არც მესამე წიგნის დაწერა აღარ უთხოვიათ. წიგნს ტაბუ დაედო - თითქოს, არც არსებობდა. სამაგიეროდ, “დიდოსტატის მარჯვენას” აქტიური პროპაგანდა დაიწყო. ლავრენტი ბერიამ თავისი ბავშვობის მეგობარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ისტორიკოს სიმონ ჯანაშიას ეს წიგნი სტალინთან გაატანა. ჯანაშიამ ბელადს წიგნის წაკითხვა სთხოვა. სტალინი დაუსრულებლად იცნობდა კონსტანტინე გამსახურდიას. დილით, განთიადისას სტალინმა ბერიას დაურეკა: რა კარგი მწერალი ყოფილა კონსტანტინე, მე კი ეს აქამდე არ ვიცოდი. მიუღო ღამე კეთილშობილად “დიდოსტატის მარჯვენას” მა ახლა დავაძლავო. მალე რომანი საბჭოთა ისტორიული პროზის მიღწევად ჩაითვადა...

ამის შემდეგ კონსტანტინეს შემოქმედებითი ცხოვრება აქტიური გახდა, თუმცა 1946 წლიდან ის სხვადასხვა პოლიტიკური ბრალდებით კვლავ შეზღუდულს, შეწყვეტეს მისი ტომულების გამოცემა, გამოიყვანეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან. კრიტიკოსები “შავრამედად”, “ნაციონალისტად” მიხსენიებდნენ. იმ პერიოდს “დავით აღმაშენებლის” მესამე წიგნის გამოცემა დაემთხვა, ის აკრძალეს და მთელი ტირაჟი დაწვეს. მწერალმა გამოსავალი “ვაზის ყვავილობაზე” მუშაობაში დაინახა. ცხადია, კონსტანტინე მეტი სიყვარულით წერდა “დიდოსტატის მარჯვენას”, ვიდრე “ბელადს” და “ვაზის ყვავილობას”, მაგრამ ასე იყო საჭირო, რათა თავისი სიცოცხლე და შემოქმედება გადაერჩინა, უკომპრომისობა სიმღერა იქნებოდა - სასტიკი ბომონი მსხვერპლსა და შესაწირავს მოსთხოვდა. როცა წერა დაიწყო, სტალინი გარდაიცვალა. მწერალმა ბერიას თანაშემწეს, პეტრე შარიას დაურეკა: რამდენიმე წელია წიგნი არ გამოიცემა და ბერიას უთხარი, ტირაჟი

და პონორარი გამოიმავოს. შარია მწერალი უთხრა, მაგრამ თხოვნა ზუსტად გადასცა თავის შუგს, ვითუ, ბერიასთანაც დარეკოს კონსტანტინემ. ლავრენტი მწერალს დაემუქრა, გაჩერდეს, თორემ კიდევ ერთხელ დავაპატიმრებთო, მაგრამ თხოვნა მაინც შესრულდა - წიგნი 20 ათას ეგზემპლარად გამოიცა.

- პოლიტიკური წნეხი და დაბაბულობა მწერლის პირად ცხოვრებაზეც აისახებოდა...

- “ჩეკას” ინტრიგების წყალობით, 1940-იანი წლებიდან მწერლის პირადი ცხოვრებაც გართულდა. მისი მეუღლის, მირანდა ფალავანდიშვილის ნათესავები ხან ჩუმად, ხან აშკარად პიკილავდნენ კონსტანტინეს, არ მოსწონდათ მისი პოზიცია: მთავრობას აქეზსო, ბოლშევიკებს მიუყიდა. განსაკუთრებით მირანდას მაშიდა - ოღლა ფალავანდიშვილი-კობიაშვილი აქტიურობდა. მას სხვა ნათესავებიც აყენენ: მიხეილ პქონდათ - ისინი რეპრესირებული ოჯახიდან იყვნენ. მირანდას ნათესავები დედის ხაზით - ერთი ნაპატიმრალი ჭაბუკი და ბიძამისი - კონსტანტინეს საყვედურობდნენ, როგორ შეიცვალე, ბოლშევიკებმა შეგაშინესო. მწერლის გაფრთხილება არც ერთმა ყურად არ იღო - მალე ისინი დააპატიმრეს და დახვრიტეს. კონსტანტინე გადრამავდა: მირანდამ ოჯახი დატოვა და ლენინგრადში წავიდა.

- როგორც ცნობილია, მწერალი, საერთოდ, სვედიანი იყო, იშვიათად უნახავთ გადიმბუჯული. თუმცა, ხუმრობაში ხალხისთ ერთგვობა ხოლმე. ამბობდა: “არაფერი ისე არ ახასიათებს ადამიანს, როგორც სიცოცხლე”.

- 1921 წლიდან მწერალი დღევანდელი პოლო იაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა, მის მეზობლად კი სომეხი ვინეკოლოგი, შამუელ შახპარონიანი. კონსტანტინე ხუმრობდა, ქალაქი ჯერ ჩემთან მოიდან და მერე შახპარონიანს აკითხავდო.

- მთავარი სარკაზმით გამოირჩეოდა მისი გამოსვლები მწერალთა კავშირის სხდომებზე...

- კონსტანტინე ზეპირ გამოსვლებში, წერილებში ხშირად ქებით იხსენიებდა პარტიულ ლიდერებს. ეს იყო მცირეოდენი, დროით გამოწვეული ხარკი. მაგრამ დაწესებულ ეტიკეტს ზოგჯერ თავად არღვევდა: აკაკი გაწერელია იგონებდა: “შეაგანაძეობის იყო იყო. კონსტანტინე და მე რუსთაველის პროსპექტზე მივაბიჯებდით. ანაზღად ბატონმა კონსტანტინემ შემოთავაზა: - აგერ, რესტორან “ვაზბეგში” ჩავიდეთ და ას-ასი გრამი არავი დავლიეთო. დავლიეთ. ხათრს ხომ არ გავუტყებო”.

მერე აინება: - საქართველოს არქიტექტორთა ყრილობას უნდა დავესწროთ...

დაწყვეი მის სურვილს. შევედი სამხატვრო გაღვრებაში... კონსტანტინემ ვასილ მთავანაძეს სიტყვით გამოხვალის უფლება სთხოვა. მისცეს სიტყვა... კონსტანტინემ დაიწყო: “უცნაური ხალხი ვართ ქართველები! დავით აღმაშენებლის ძეგლი არ დგას თბილისში. ძეგლი კი არა, ქუჩაც კი არ გავიმეტებ, მისი სახელი დავგერქმია, კამოთის კი არაფერს ვიშურებო, მისი საფლავი ძველად ვაქციეთო. აი, თქვენ ხურთომილდვრება! სადამოს ვუმართავთ! ამხ. კამოს ქართველი ერის წინაშე მხოლოდ ერთი დამსახურება მიუძღვის - ჩვენი უსაყვარლესი ბელადის ცოლს, ქალბატონ ნადეჟდა კრუსკაიას უკურნებელი ვენერული სენი შეჰყარა, იმან კი - ლენინს გადაულოცა. იცოდეთ, ვასილ პავლოვი, ამას კაცობრიობა დავიფასებთ!”

კინაღამ ჩაიშალა არქიტექტორების ყრილობა - დარბაზში ჩოჩქოლი, ხმაური, სიცილი ატყდა. კონსტანტინემ სიტყვა დაამთავრა, მაგრამ არეულ ხალხს რომ გადახედა, შეკრთა და ვასილ მთავანაძესთან მივიდა: “ვასილი პავლოვი, ხომ არაფერი გადავჭარბებ?” “არა, არაფერი” - დაამშვიდა მთავანაძემ შეფიქრებულად მწერალი.

“ჰო, კარგი, გთავაზობ” - მიუწო კონსტანტინემ და თავის სავარძელს დაუბრუნდა.

- რას გვეტყვით მამა-შვილის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიის ურთიერთობაზე?

- ზვიადისთვის კონსტანტინე არა მხოლოდ ხორციელი, არამედ სულიერი მამაც იყო. ცდილობდა, ისე ეცხოვრა, როგორც დიდ კონსტანტინეს მოეწონებოდა. 1955 წელს მამა ზვიადს მოსკოვიდან სწერდა: “გახსოვდეს, შვილო, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იღვწის რაიმე მაღალი და ზეადმიტაცი ამ-

ბებისათვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ დიდი იდეებისათვის მოლაშქრედ არ წარმომედგინა ჩემი თავი, ვეღარ გავუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც, ასე თუ ისე, შეეძლებოდა” (კონსტანტინე გამსახურდია კი უძლებდა ყოველნაირ შემოტევას ხელისუფალთაგან, რომელიც შემდეგში ზვიად გამსახურდიას ხორციელდებოდა. 1957 წელს, როცა გამოვიდა მწერლის მომდევნო რომანი “ვაზის ყვავილობა”, გახეთ “კომუნისტში” გამოქვეყნდა წერილი იმის აღწერით, თუ როგორ მოდიოდა წესიერი მოქალაქე რუსთაველს გამზირზე (!) და კითხულობდა “ვაზის ყვავილობას”, მას კი ხულიგანი დაეჯახა და წიგნი ხელიდან გააგდებინა. იოლი მისახვედრია, რომ ეს “ხულიგანი” ზვიად გამსახურდია იქნებოდა - გახეთ “ილორის” კომენტარი).

- თურმე, კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო პერიოდში წინაპართა სახეები ევდა თვალწინ, მიცვალებულებს ეხმიანებოდა...

- თავისი ოღაბადე - აბაშა აგონდებოდა, სოფლის ორდობები, ათასწორად აყვავებული ალუჩები, ვაშლები და ვახუბი, ის ძველი აბაშა ენატრებოდა, სადაც ბავშვობის უდარდელი წელიც გაატარა. გული სწყდებოდა, რომ მაშინველი ეთოკარი იავარქმინდო იყო, დობე მოერდებოდა, ხეები მოჭრათ, აღარ იდგა ისლის სახლი. რაიონის ხელმძღვანელობას ეწადა დიდი მწერლის სიცოცხლეშივე მუხუყმად გადაქცეული კარმადამოს რემონტი, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების შიშით თითხე არ აკარებდა. (ის კი არა, ასწლოვანი ხეები ბუდლოზერებით ამოძირკვეს და შეშად დაურიგეს ადგილობრივ მოსახლეობას). კონსტანტინე იგონებდა გალაკტიონსაც - ვერ დავაფასეთ, საუკუნის უდიდესი პოეტი იყო. ბავშვობიდან კარგი მეგობრობა გექონდა, მაგრამ ნასვამი დადიოდა, მე კიდევ ნასვამ კაცთან საუბარი ყოველთვის მიჭირდაო. ფიქრებს ხმამაღლა წარმოთქვამდა, ახსენებდა შოთა რუსთაველსაც. სიკვდილის წინ გოეთეს, დავით მეფესა და თამარს ახსენებდა...

1975 წლის 17 ივლისს, დამის თერთმეტ საათზე მწერალს სუნთქვა წაერთვა. ესოდენ დიდი ადამიანის სიკვდილმა ყველა გააოგნა, მხოლოდ ატრეპულმა ზვიადმა მოიკრიბა ძალი, შეკრებილთ გამოეყო და ზედ გადაემხო სათაყვანო მამის ცხედარს... კონსტანტინე კოლხური კოშკის ეკოში დაკრძალა, რადგან მთაწმინდაზე ადრევე უარი თქვა, საქართველოს დამაქცევარის, ფილიპე მახარაძის გვერდით არავითარ შემთხვევაში არ დავიმარხებო...

შორენა ლაბაძე

P.S. მისასალმებელია ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა ინიციატივა, რომლებიც მოითხოვენ, რომ ზუგდიდში დაიდგას კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი. მოთხოვნის ობიექტური საბაზი გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება, ის, თუ რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის დიდი შემოქმედის ინტელექტუალური მემკვიდრეობა...

“კონსტანტინე გამსახურდია ჩვენს რეგიონში, ჩვენს ქალაქში განსაკუთრებულად გვიყვარს და სამწუხაროდ, წლების განმავლობაში მისი იუბილე ზუგდიდში არ აღინიშნებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ქალაქის, რაიონის ინიციატივა გახლავთ, რომ მომდევნო წლებში ის აღინიშნოს უფრო ღირსეულად, პომპეზურად, იმეტომ, რომ ეს ადამიანი - კონსტანტინე გამსახურდია არის ღირსი ამ ყველაფრის”, - განაცხადა ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი თოდუაძე.

როგორც ცნობილი გახდა, კონსტანტინე გამსახურდიასთვის ძეგლის დადგმის ინიციატორებად რუსუბულიკელებიც გამოდიან. არ ვიცი, რამდენად აქტუ დიდი მწერლისადმი პატივის მიგების მორალური უფლება იმ გადაგვარებულ ბერძენიშვილებსა და ზურაბიშვილებს, რომლებიც არად მიიხვეწენ უდიდეს ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - დიდ ილია ჭავჭავაძეს!



რას ნაკომპლენს თანამდროვე ენა, სინამდვილე, და რა იწვევს უხელოებას სიჭყვიანობის აპილოლოგიის დადგენისას

(გაბრძანება წინა ნომერიდან)
 აღნიშნული ტერმინი უკვე ინტენსიურად გამოიყენება ენათმეცნიერებაში.
 როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა დაინტერესება ცალკეული ენების სიტყვათმომავლობის (იგულისხმება სიტყვათა გენეტიკური წარმომავლობა), იგივე სიტყვათა ეტიმოლოგიის შესწავლის საქმეში, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა. მაგრამ როგორც ითქვა, ცალკეული მკვლევარები უშუალოდ სერიოზულ შეცდომებს ამ მხრივ, და, ამგვარ მასალას (ხშირად, როგორც „წაყვანულად“ მონაცემებს) აწვდიან მკითხველ საზოგადოებას. მართალია, განსხვავებულ მოსაზრებებს არსებობის უფლება აქვთ და ჭეშმარიტება დიხაჯ აზრთა სხვადასხვაობაში გამოიკვეთება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცალკეულ თვითგამოცხადებულ „ენათმეცნიერებს“, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი სპეციალისტის დადებითი რეცენზია არ გააჩნიათ, ვერაფერს შეეკამათება, რადგანაც ეს აუტორიზირებული აბრევიატა გამოიწვევს. ასე, მაგალითად, ამას წინათ, ერთ-ერთ ხალხმრავალ აუდიტორიაში ერთმა „მკვლევარმა“ 10-მდე სიტყვის ეტიმოლოგია წარმოადგინა და არც ერთი მათგანი სწორი არ იყო. მაგალითად, ბრძანა, რომ სიტყვა „სამშობლო“ მეგრულიდანაა, მასში მოცემული ბგერა „მ“, მეგრულად სველ ნიშნავს, ხოლო ჩვენ კარგად ვიცით, რომ შობა სწორედაც სისველესთან არის დაკავშირებული. ასევე „დაამტკიცა“, რომ სიტყვა „ჭეშმარიტება“ მეგრულია, ვინაიდან ჭე მეგრულად ცოტას (ჭიჭეს) მცირედს ნიშნავს. მსმენელები იმშუშნებოდნენ, მაგრამ ხმა არავის ამოუღია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ზოგიერთის მხრივ ჩუმად გამოხატულ უკმაყოფილებას. ესე იგი, „თავი არავინ აიტკივა“, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორმაც. უხერხულობაში არც მომსხვენიელი და არც საკუთარი თავი არავის ჩაუყენებია. ანალოგიური დამოკიდებულება ავტორების მიერ გამოცემულ ნაშრომების მიმართ, რაც, ცხადია, არავისთვისაა სასარგებლო. სწორედ ამიტომაც, პირადად ჩვენ, ჩვენი პირველი ნაშრომებიდანვე, წიგნების წინასიტყვაობებში წინასწარ ვუხედიდით და ვუხედით მადლობას მკითხველებს, ვინც საქმიან შენიშვნებსა და სასარგებლო რჩევებს მოგვცემდა ან მოგვცემს. ამის გათვალისწინებით, ჩვენი კეთილგანზრახული რჩევები თუ შენიშვნებიც არავის უნდა ეუცხოს.

დემურთა მოწამე, რომ ამ წერილის მიზანი სულაც არ არის ვინმეს გაკრიტიკება, მით უმეტეს გაშავება, თუნდაც მიუხედავად შეცდომებისათვის, არამედ ის, რომ დავეხმაროთ მათ, თავიანთი შეცდომების დანახვასა და გამოსწორებაში. მიიღებენ თუ არა ადრესატები ჩვენს რჩევას, ეს მათი საქმეა.

სამისოდ, ანუ სიტყვის (სიტყვების) ეტიმოლოგიის შეუმცდარად შესწავლის

უზრუნველსაყოფად, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ კიდევ ერთხელ წარმოვადგინოთ მოტანილი დასკვნა თანამედროვე ენის რაობის შესახებ და მოკლედ და ნათლად განვმარტოთ იგი. აი, ისიც:

თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმონური ფორმებისა და მათთან იმთავიდანვე ბუნებრივად თანხმონური ემფატიკური (ემფაზისმიერი) (სახმონსო ორგანოების დაბაბვისმიერი) მარცვალწარმოქმნილი და დეტერმინანტი ნახევრადხმონიანი ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.

როგორც ამ დასკვნის გამოტანამდეც საესებით გასაგებად წარმოვანიხეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ საგრამატიკო საშუალებები და ცალკეული მეტყველების ნაწილები, როგორცაა: ნაცვალსახელები, ზმნიუდები, თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები და შორისდებულები (ამ უკანასკნელთა უდიდესი ნაწილი მანიც). რა დარჩა?

ცხადია, დარჩა არსებითი სახელების, ზედსართავი სახელებისა და რიცხვითი სახელების ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიის დადგენა.

ესენიც, უფრო ზუსტად, ამათი 99,99 პროცენტის სიტყვათმომავლობა (ეტიმოლოგია) ჩვენს მიერ დადგენილია ჯერ კიდევ შედარებით უფრო ადრე, ცხადია, ოცდამეცხრეულშიც, შემდეგანაირად:

ადმოჩნდა, რომ მეგრული ენის კოლონალური ლექსიკა, რაც დაითვლის 1410.145286 სიტყვას პარალელურად, იშვიათად ხმარებაში პარტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ (საიდანაც, საგარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადია, ან შეიძლება ხმარებულ იქნას) 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა, დამყარებულია სულ რაღაც 6.652 ძირისეულ თანხმონურ ფორმაზე, ანუ მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიკაციით. აქედან ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) ემყარება 2202 ძირისეულ თანხმონურ ფორმას, დანარჩენი ლექსიკა კი - 4.450 ძირისეულ თანხმონურ ფორმას. აღნიშნული 6.652 ძირისეული თანხმონური ფორმიდან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1.869 ფორმა ანუ 28,1 პროცენტი, მაგრამ იმ საფუძველზე, რომ ისინი ხასიათდებიან განსაკუთრებით მაღალი პროდუქტიულობით, მათზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდისა და ამ ენის თვით მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი და მხოლოდ დანარჩენი 0,8 პროცენტი განეკუთვნება ე.წ. „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს.

ცხადია, იმ ფაქტის დადგენით, რომ მეგრულის მთელი კოლონალური ლექსიკა ემყარება 6.652 ძირისეულ თანხმონურ ფორმას, აქედან კი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1.869 ძირისეული ფორმა და მას ემყარება ამ ენის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი, ჩვენ, პრაქტიკულად, დავადგინეთ მეგრულის მთელი

ლექსიკის 99,2 პროცენტის სიტყვათმომავლობა. ასე, მაგალითად, რაკი ხმაბაძვითი წარმომავლობისა არიან ჩხ(რჩხ) და კრ(კ) ძირისეული თანხმონური ფორმები, იგივე წარმომავლობისანი არიან მათზე დამყარებული ლექსიკებიც, რაც შეადგენს, შესაბამისად: 2.610.120 და 4.611.43 სიტყვას.

რაც შეეხება ხმაბაძვითი ანუ ბგერათ-სიმბოლური სიტყვების, იგივე ბგერითი სიტყვების (ტ. გუდავას ტერმინით) გამოცნობას, იგი ჩვენ მოვახდინეთ იმ 10 კრიტერიუმის გამოყენებით, რომელთაგან 7, თავის დროზე, ჩვენს მიერვე გამოვლენილი (დანარჩენი 3 კი ენათმეცნიერებისათვის მანამდეც ცნობილი იყო).

როგორც ცნობილია, სიტყვის მნიშვნელობის წარმოდგენა ძირისეული ფორმა, იგივე ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემა, ხოლო რაც შეეხება აფიქსებს, საერთოდ საგრამატიკო საშუალებებს, ისინი, მართალია, ბგერისეული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ განიყოფიან ორ ჯგუფად: 1. დერვივტი ანუ მნიშვნელობამცვლელ საგრამატიკო საშუალებებად და 2. მიმოსახრებელ საშუალებებად ანუ ფლექსიად, იგივე გრამატიკულ მორფემებად.

როგორც ჩვენი გამოკვლევებით დადგინდა, დერვივტი საგრამატიკო საშუალებებიდან კერძოდ, პირველადი საწყვისეული სუფიქსები მომდინარეობენ (მიღებულია) ხმაბაძვითი ძირისეული თანხმონური ფორმების უშუალოდ თანხმონები თუ თანამდევნი ხმანობებიდან (შდრ.: კარკალი, კარკანტი, კარკაზი, კარკათი, კარკაცი და სხვ.) ეს ანიჭებს მათ, შედარებით ფართომასშტაბიან მნიშვნელობამცვლელ ფუნქციას, ცხადია, მეორეული, მესამეული და ა. შ. (ზოგადად, მეორეული) წარმოების სუფიქსებთან ერთად, ვიდრე ეს გააჩნიათ ამ უკანასკნელებს, ცალ-ცალკე აღებული. ასე, მაგალითად, კარკალ ფორმასთან ალ პირველადი საწყვისეული სუფიქსია, რომელთანაც ვლინდება 336 (მეორეული, მესამეული და ასე შემდეგ) წარმოების სუფიქსი (მაგ., კარკალი-აფა-ა, კარკალი-აფა-აფა და ა. შ.) ანალოგიურად: კარკანტი ძირისეული თანხმონური ფორმის ანტი პირველადი საწყვისეული სუფიქსთან ვლინდება ამავე რაოდენობის იგივე სუფიქსები და ა. შ.

ენათმეცნიერებაში ძირისეულ ანუ ლექსიკურ მორფემებს უწოდებენ სიტყვათა ფუძეებს, თუმცა, არნ. ჩიქობავას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ასეთი შეიძლება გვოდოთ ძირისეულ ფორმებს ანუ საკუთრივ ძირებს, იგივე მარტივ ძირებს, რაც მართებულია.

ამასთან, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, ძირისეული თანხმონური ფორმები განიყოფიან ორ ჯგუფად: იდეამტარებლებად ანუ მორტივირებლებად და არაიდეამტარებლებად ანუ არამორტივირებლებად.

მაგრამ, როგორ უთავსდება ეს თეზისი (პოსტულატი) აკად. გ. ახელედიანისა და

პროფ. ი. ყიფშიძის მიერ წამოყენებულ შემდეგ ძალიან საყურადღებო თეზისებს?:
ხმოვანი და თანხმოვანი განსხვავებული ბგერებია... განსხვავებულია მათი ისტორიული განვითარებაც და, ჩვენი აზრით, მათ შორის ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ გენეზისურ განსხვავებაშია“ (გ. ახელედიანი, „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1940 წ., გვ. 389); „თანხმოვნები წარმოადგენენ სიტყვის მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს, ხოლო ხმოვნები - გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს“ (იქვე). „თანხმოვნებს მინიჭებული აქვთ უნარი დროისა და ადგილის განუსაზღვრელად გამოხატონ იდეები და გაგებანი. ესენია ბგერები იდეამტარებლები. ხოლო ხმოვნები, პირიქით, ფლობენ უნარს შემოსაზღვრონ იდეის უსასრულობა დროისა და ადგილის მიხედვით. ესენია ბგერები საზღვარდამდებნი“ (ი. ყიფშიძე, მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა, ს.-პ., 1914 წ., გვ. 014-015).

ორივე განმარტების მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობის მატარებელია თანხმოვანი (ან თანხმოვნები). სიტყვის ძირში კი, ჩვეულებრივ, გვაქვს თანხმოვანი ან თანხმოვნები. მაშასადამე, სიტყვის მნიშვნელობის მატარებელი ნაწილია მისი ძირი, იგივე, ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემა (მას „ლექსიკური“ ამიტომაც ეწოდება).

ამის მიხედვით, მაგალითად, სიტყვაში: **ჯღ(რჯღ)-ინი** და **წიგნი**, სიტყვის ნივთიერი მნიშვნელობის მატარებელ ნაწილებს ანუ ძირებს, იგივე ძირისეულ ანუ ლექსიკურ მორფემებს წარმოადგენენ, შესაბამისად: **ჯღ(რჯღ)** და **წიგნი**. ამასთან, **ჯღ(რჯღ)** და **წიგნი** სიტყვების ძირისეული თანხმონური ფორმებია, შესაბამისად: **ჯღ(რჯღ)** და **წიგნი**.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძირისეული ფორმა შესაბამისი სიტყვების ნივთიერი მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს წარმოადგენენ ანუ შესაბამის საგნებს აღნიშნავენ, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც გამოიხატება შემდეგში: **ჯღ(რჯღ)** ძირისეული თანხმონური ფორმა (და, მაშასადამე, მასზე დამყარებული მთელი ლექსიკაც) ხმაბაძვითი წარმომავლობისაა და მორტივირებულია, იდეამტარებელია, თანაც ფონეტიკური (ბგერითი) დასაბამიდანვე; **წიგნი** ძირისეული ხმოვნური ფორმა (და, მაშასადამე, მისი ძირისეული თანხმონური ფორმა **წიგნი**) არახმაბაძვითია, ანუ ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშანია, შემოდებულია **წიგნი** (წრფელობითი ბრუნვის), ანდა სულაც **წიგნი** (სახელობითი ბრუნვის) სახით და საგნის აღმნიშვნელია არა სიტყვის ძირისეული თანხმონური ფორმის ბუნებითი მნიშვნელობის მიხედვით, არამედ ცნებითობის საფუძველზე. აი, ეს განსხვავებაა მნიშვნელობა და ცნება ტერმინებს შორის.

მამანტი ბაბამია,
 პროფესორი, აკადემიკოსი
 (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბბაო ლეონიდ, არ მჯერა! არ მჯერა! არ მჯერა...



პროფკატორის ბლოგი

როგორც ქართველებს გვმოდერავდა დღედაღამ თავისი ქობულეთის რეზიდენციიდან.

მაგრამ, ვერაფერი და წარმავალი ყოფილა წუთისოფელი, რომელიც ხშირად დაურიდებლად ანგრევს ხოლმე წლობით ნალოღივებ ოცნებებს.

და, აი, ლეონიდეც წავიდა და დავეტირვა მილიონი პასუხგაუცემელი კითხვა, რომელთა პასუხიც მხოლოდ მას უნდა სცოდნოდ. დავეტირვა მოუნებელი სევდა და მელანქოლია, იმ 200.000-ზე მეტ ადამიანს ვინც ყოველდღე ველოდით მის ცხოვრებისეულ პოსტებს. სიცარიელეს ერთი თვისება აქვს - აუცილებლად რაღაცით ივსება, მაგრამ მისმა წასვლამ ისეთი სიცარიელე დატოვა, რომელიც მოუშუშებელი იარაღით მუდამ ღია იქნება.

დავეტირვა შეგონების გარეშე, არადა რამდენი ადამიანი იწყებდა სამუშაო დღეს მისი გენიალური გამონათქვამებით, კვირებსა და დეკადებს ვეგეტატივით მისი სიბრძნით, ახლა კი შეხვდა მის ფეისბუქგვერდზე, და დაგხვდება ავისმო-მასწავლებელი სინუშე და ყელში ბურთად გასაჩხერად გამოჭიმული პოსტი - **მე წავიდი...**

ამბობენ, ვითომდა ბიძინა ივანიშვილს შეხვდა და ისე მიიღო პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებამ, მაგრამ არ მჯერა. განა მის გადაწყვეტილებაზე ვინმეს შეიძლება მოეხდინა გავლენა?!

განა ალექსანდრე მაკედონელს ვინმე ეუბნებოდა როგორ მოქცეულიყო?! ის ხომ ჩვენს თანამედროვე მაკედონელად იყო მოვლენილი, კაცი რომელიც თუ არ გააბრწყინებდა ივერიას, ხრწოლვა-ბუქტვას მაინც დააწყებინებდა. ეჰ, ლელა კაკულიას რა ვუთხარი, როცა თქვა, რომ მომავალში გიორგი ბრწყინვალეს ვხედავ, რომელიც გააერთიანებს ერსო, როგორც ჩანს, მისმა კეთილმა გულმა ლელამ ნათქვამი შეიძინა, ენდო და რადგან გიორგი არ ეტყვა სახელად, წავიდა, არადა ძველ შემერულად ლეონიდი ხომ გიორგის ნიშნავს და ტროელთა უშიშარი მხედართმთავარიც ლეონიდი იყო, ბრუნველზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

მოდრულულ ცაზე მზის გამოჩენა რომ გახარებს ადამიანს და გულში მომავლის იმედს გისახავს, ისე გამოჩნდა, გააცისკროვნა ცა, გადაყარა საწვიმრად გამზადებული ღრუბელი, მაგრამ უცებ გაქრა.

როგორც არასდროს, ისე აქტიურია სიტყვები - ჩვენს თვლებს დააკლდი, მა-

გრამა გულებს არასოდეს დააკლდებიო. ყოველ დღეს ისე თქვენი პოსტების ნახვით დავიწყებ, რაც არ ვიცი დავიხუპირებ, თორემ მუხთალია წუთისოფელი და ვაითუ ვინმემ წაშალოს ეს სიბრძნე და შთამომავლობას რა პასუხი გავცემო?!

“ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერის დაკარგვის მერე, ამხელა დანაკარგს შთამომავლობა ნამდვილად აღარ გვაპატიებს და საფლავებში ჩაგვაფურთხებს. ეჰ, მე ვინ დამიჯერებს თორემ საქართველოს სკოლებშიც უნდა ისწავლებოდეს მისი გონების ნაყოფი, ნახეთ რა გენიალურად უღერს - **აი-იან ლეონიდი**.

თუ რამე გეწეინათ გვითხარით, გულში ნუ ჩაიხვევთ წყენას, თორემ სათუთია თქვენი გული და არ გეტყინოთ, გვითხარით, გაგვიმხილეთ და ვინც თქვენ გაწყენინათ, სათანადოდ გაგუსწორდებით.

სწორად წასვლას, მოსვლაზე მეტი შრომა უნდა, თქვენი კი ეს შეძელით. თქვენგან ვიცი მომავლის იმედი სულ უნდა გქონდეს ადამიანსო, პოდა მეც იმედით შეგვერებ **“ფეისბუქს”** იქნებ ისე დაბრუნდეთ.

P.S ისე ბატონო ლეონიდ ჩერნოვეციკი, ჩვენში დარჩეს და ან მოსვლა რა იყო და ან წასვლა?!

ბბაო ლეონიდ, არ მჯერა! არ მჯერა! არ მჯერა...



უხსო სიზჷვანთა კოლხური ნაკროთაქო

გაგრძელება წინა ნომრიდან

როგორც ცნობილია ძველ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ შუმერები. მიხეულისა, რომ ისინი იყვნენ კაცობრიობის ცივილიზაციის მესაბირკველები. ბოლო დროის განმავლობაში ჩვენში გამოვიდა რამოდენიმე წიგნი (მათ შორის ბადა სოფიას "ლაზ-მეგრელთა ჩვენწელადრიცხვამდელი ისტორია"), რომლებშიც მიგნებულა შუა მდინარეთის ხალხების ლექსიკაში არსებული კოლხური წარმომავლობის მრავალი სიტყვა. სიტყვა "მისმარი"-ც არის კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითი კოლხურ-შუამდინარულ ხალხთა ნათესაობისა.

მაგზოლი - კარიის (მხარე მცირე აზიაში) მეფე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში. მისი მეფობის დროს კარია განთავისუფლდა სპარსელების ბატონობისაგან. მაგზოლმა დედაქალაქი გადაიტანა მილასიდან პალიკარნასში და სწორედ პალიკარნასში აღიმართა მაგზოლუმი მის სახელზე, რომელიც შემდგომ გახდა ერთ-ერთი მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი მაგზოლმა (მაგზოლი და არა მაგზოლი, რომელიც მოდის ბერძნულიდან, რადგანაც ბერძნულში არა გვაქვს ბგერა "ზ" და რაშიც აქვე დავრწმუნდებით) თავისივე სიცოცხლეში ისურვა, რომ მის საფლავზე აღემართათ აკლდამა და ასევე ცნობილია, რომ აკლდამის მშენებლობა დაიწყო, როდესაც ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მას მართლაც უსურვებია, რადგან კოლხურად "მე ვისურვე" გამოითქმის როგორც "მა ვისალო" საიდანაც საბოლოოდ მივიღეთ მაგზოლი.

როგორ უნდა გადაქცეულიყო ეს ფრაზა აკლდამის სახელად? პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი სახელები მეგრულში ძალზედ გავრცელებულია. მაგალითად, **მოკალი** (მინდოლი), **ვაშლიკოლი** (არ მინდოლი), **გოდურია** (უკვდავი) და ა.შ. ამიტომ შესაძლებელია, რომ მაგზოლს მართლაც რქმეოდა ეს სახელი **მა-ვიზალი**. მართეს მხრივ და რაც ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია არის ის, რომ თვითონ მაგზოლმა ისურვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ აკლდამას დარქმეოდა მის მიერ წარმოთქმული ეს ფრაზა "**მა ვისალო**" (მე ვისურვე).

როგორც ცნობილია კარიელები არ იყვნენ ბერძნული ტომები და კარიის მფობი, მაგზოლის ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ეტიმოლოგიას თუ ვაკითვავლისწინებთ, ცხადი ხდება, რომ ისინი უკვე კლდე კოლხურ სამყაროს ეკუთვნოდნენ.

ომფალოს - omphalos ბერძნულად ნიშნავს **ჭიპს**. ასევე ნიშნავს დედამიწის ცენტრს. როგორც ცნობილია ძველი ბერძნების აზრით აპოლონის ტაძარი დელფოსში მდებარეობდა დედამიწის ზედაპირის ცენტრში.

ფალუა (შეიძლება ყოფილიყო მფალუა, როგორც სიტყვებში: ბარუა, მბარუა (ბერვა), ფაფალი, ფამფალი (ფრიალი ხამხამი და სხვა) მეგრულად ნიშნავს აღმოცენებას, გაფურჩქნას, გახარებას, ხოლო ოფალუ, (შეიძლება ყოფილიყო ომფალუ) კი ნიშნავს "გასახარებელი", "გასაფურჩქნი", "აღმოსაცენებელი".

სწორედ ჭიპი და მასთან ერთად ჭიპლარი, რომელი მნიშვნელობაც აქვს ამ სიტყვის ლათინურ შესატყვის umbilicus არიან ის ორგანოები, რომელთა საშუალებითაც ემბრიონი იკვებება, ე.ი. რომელთა საშუალებითაც ხდება მისი ფალუა.

ხოლო რაც შეეხება თვითონ ქართულ სიტყვა "ჭიპს", ის (როგორც აღვნიშნეთ) გამომდინარეობს აბრევიატურისაგან "ჭი-პი" (ჭიჭე პიჯი - პატარა პირი). მართლაც ჭიპი ემბრიონისათვის წარმოადგენს გასახარებელ, აღმოსაცენებელ პატარა პირს.

ორდანი - მიხეულისა გამომდინარე ბერძნული organon-იდან, რაც ნიშნავს იარაღს.

ორდანი არის კლავიშებიანი დიდი და რთული მუსიკალური ინსტრუმენტი. იმავე ორგანოდან გამომდინარედა მიხეულის ასევე სიტყვა "ორგანი", ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის ნაწილი, რომელსაც აქვს განსაზღვრული აგებულება და ფუნქციები. თუმცა, რაც შეეხება ამ უკანასკნელს (ორგანი), ჩვენ ერთ-ერთ სტატეიაში შევეცადეთ მისი ეტიმოლოგია დაგვეკავშირებინა კოლხურ რეგებსთან ("ორგუნ" მეგრულად ნიშნავს "არგებს"), მართლაც ორგანიზმის ყოველი ნაწილი რეგის ცხოველსა თუ მცენარეს.

რაც შეეხება ორდანს, მეგრულად "რდია" ნიშნავს **დრიალს**, ხოლო "ორდიალი" - **ხალრიალს**. სწორედ დრიალთან ასოცირდება ამ ინსტრუმენტის ხმა, ისევე როგორც, ვთქვით რუსულად გვაქვს **орган**, ხოლო ქართულად "საყვირი", რადგანაც მისი ხმა შეიძლება შევადაროთ ყვირილს.

ჩვენი აზრით ქართული "საყვირი" უფრო ევგვიტურად გამოხატავს ამ სიტყვის მნიშვნელობას და დანიშნულებას, ვიდრე რუსული **труба** (მილი). ასევე სიტყვა "ორდანი" ჩვენეული ეტიმოლოგია უფრო საფუძვლიანია ვიდრე ბერძნული.

O.K. - ან **ay**, - ვიკიპედიაში განმარტებულია როგორც ამერიკული საყოველთაოდ სახმარი გამოთქმა, რომელიც გახდა საერთაშორისო და ნიშნავს "ყველაფერი რიგზეა, კარგი, სწორია". ამერიკიდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ასოციაცია Global Language Monitor (GLM)-ის დაკვირვებით სიტყვა **O.K.** ყველაზე გავრცელებული და საყოველთაოდ აღიარებული სიტყვაა ჩვენს პლანეტაზე.

არსებობს სხვადასხვა აზრი ამ სიტყვის წარმოშობის შესახებ. ყველაზე გავრცელებულია, რომ **O.K.** წარმოიშვა ამერიკის პრეზი-

დენტის მარტინ ვან ბიურენის დაბადების აღვლის Kinderhook-ისაგან. მან აირჩია თავის ფსევდონიმად Old Kinderhook, საიდანაც მიღებულ იქნა **O.K.**

როგორც ეს და სხვა ეტიმოლოგიები, რომლებიც აქ (ვიკიპედიაში) არის მოყვანილი, სხვა რომ არა ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია. სტატის ბოლოში კი ნათქვამია: "ყურადღებებს იმსახურებს ის ფაქტიც, რომ საფრანგეთის სამხრეთ პროვინციებში (გასკონურ კილოზე და პროვინცია ლანგედოკის კილოზე) სიტყვა **ოკ** (**ოქ**) იხმარება სწორედ მნიშვნელობით "დაიხ", "კარგი". შესაძლებელია, რომ ამ სიტყვას იყენებდნენ, როგორც რეზოლუციის დოკუმენტებზე ბრძანებებზე და ა.შ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასკონელებს ხშირად ეკავათ მაღალი თანამდებობები მეფის კარზე და ხელქვეითები კი კოპირებას ახდენდნენ თავის უფროსისას. გასკონიას ასევე ეკუთვნოდა პქონა ინგლისთან, რადგანაც ოპოზიციაში იყვნენ ადგილობრივ ცენტრალურ ძალებთან. ამის საშუალებით სიტყვა შესაძლოა მოხვდა ინგლისში. რადგან ინგლისურში ასეთი სიტყვა არ არის, მათ გამოთქვეს ის როგორც - **ay**. მხოლოდ ამ ბოლო დროს განმარტავენ ამ სიტყვას, როგორც აბრევიატურას, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს ის ხშირად იწერებოდა როგორც წერტილების გარეშე".

ჩვენი აზრით სწორედ ამ ბოლო აზრში იმალება ჭეშმარიტება. ლანგედოკურს უწოდებენ ოქსიტანურსაც, რადგანაც ოქსიტანურში სიტყვა "დაიხ", "კი" გამოითქმის, როგორც **ოქკ**.

რადგანაც გასკონური (ბასკონური) ენა მჭიდრო კავშირშია ქართველურ ენებთან, კიდევ მეტი, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ის შეიძლება მეოთხე ქართველურ ენად ჩაითვალოს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართველურში (კერძოდ კოლხურში) უნდა არსებობდეს ამ სიტყვის ანალოგიური სიტყვა, რომელიც დადასტურებდა მის საერთო კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას და მართლაც ასეთი სიტყვაა კოლხურში "ო ო", "ო ია", რაც ნიშნავს "კი, პო, დაიხ" (გამოითქმის როგორც "ო"). კოლხური ასო-ბგერა **Y**-ს გადასვლა ევროპულ **ქ**-სა და **კ**-ში ჩვეულებრივი მოვლაა. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაოდ სახმარი ამერიკული გამოთქმის **O.K.**-ის ეტიმოლოგიურ კვლევას მიუყვებით იბერიულ-კოლხურ ფსევდობთან.

перчатка - რუსულად ნიშნავს **ხელთათმანს**. ხოლო მეგრულად **ფურჩ-ონი**, **ფურჩ-ონუა** (რომლის ფუძე თითქმის ემთხვევა რუსული **перчатка**-ს ფუძეს) ნიშნავს გაფრცქნას ე.ი. კანის, ქერქის გაცლას. ხოლო "ფურჩა" ნიშნავს **ფურჩეს**; სიმინდის ნაფურჩაღს, ანუ სიმინდის ტაროს გარშემო შემოხვეული ფოთლებს. თუ "ფურჩა" სიმინდის ტაროზეა შემოხვეული, შემოხვეულია ადამიანის ხელის მტევანზე, ე.ი. ის

შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ხელის მტევნის "ფურჩა"-დ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსულ ენაში შემხნეულია მთელი პლასტი კოლხური სიტყვებისა, რომლის ერთ-ერთი დამადასტურებელი მაგალითი ეს სიტყვა-ცაა.

პირამიდა - (ბერძ. Pyramidos (pyramidos)) ქვის კოლოსალური ნაგებობა ოკეუთხა ფუძით და წახნაგებით, რომლებიც წარმოადგენენ საერთო წვეროს მქონე სამკუთხედებს. აგებდნენ ძველ ეგვიპტეში ფარაონებისათვის. მსგავსი ნაგებობები პქონდათ ძველ მექსიკელებსაც.

მეგრულად "პირ-უა" ნიშნავს **კვირტის ხმას**, **გაფურჩქნას**, ხოლო "პირი" არის **კოკორი**; **ყვავილი**. ასე, რომ პირამი (რაც წარმოადგენს სიტყვა პირამიდის ფუძეს) ნიშნავს **პირიანს**, ანუ **კვირტის, კოკრის ფორმიანს**. ვინც გაზაფხულზე დაკვირვებია ყვავილის კვირტს, კოკრის გამოსხმას, ის დაგვერწმუნება, რომ პირამიდებს მართლაც სწორედ კვირტის, კოკრის ფორმა აქვთ.

ქართული "პირველი", ასევე "პირილი", რომელიც დაკავშირებულია ლათინურ აპრილისთან და შესულია მრავალ ინდო-ევროპულ ენაში. აპრილში ხდება სწორედ მცენარეთა ყვავილება, რუსული **первый** - პირველი, ინგლისური **first** - პირველი; ბერძნული **protos** - პირველი, პრო - წინ, წინდაწინ. წინასწარ, ლათინური პრია - იგივე მნიშვნელობით, ლათინური პრია - პირველი და მრავალი სხვა. ყველა ამ სიტყვის ამოსავალია კოლხური სიტყვა **პირ-უა** - **კვირტის ხმა**, **გაფურჩქნა**, **ყვავილება**. სწორედ ამ სიტყვის ფუძე "პირ", "პრ" უზის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ფუძედ და სწორედ მისგან მომდინარეობს ის სემანტიკური მნიშვნელობები, რომლებიც მათ შემდგომ მიიღეს. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მეგრულში სიტყვები **თ-ხორუა** (დამარხვა) და **ხორუა** (დასახლება) ერთ ფუძეზეა აგებული (ამავე ფუძისაა რუსული **Хоронить** - დამარხვა).

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ჩემი აზრით, რადგან ძველების რწმენით ადამიანები სიკვდილის შემდგომ განაგრძობდნენ ცხოვრებას, ამიტომაც მათ უშენებდნენ პირამიდებს, მაგზოლუუმებს, აკლდამებს, და საერთოდ სამაროვნებს, რომლებშიც ჩაატანდნენ ხოლმე სხვადასხვა ნივთებს, რომელი ნივთებიც მათ თითქოს დასჭირდებოდათ სიკვდილის შემდეგ. ამიტომ ეს ერთის მხრივ იყო **თხორუა** (დამარხვა), ხოლო მეორეს მხრივ იყო **ხორუა** (დასახლება), რადგანაც პირამიდების, მაგზოლუუმების, აკლდამებისა და სამაროვნების აგება არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო იყო, ვიდრე იმ ნაგებობების აგება, რომლებიც მათ სჭირდებოდათ სიცოცხლის პერიოდში.

წმინდა კვაშილაკა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

არ დაგამაზინჯოთ მებრული ენა

ამ ბოლო დროს საგრძობლად გაიზარდა მეგრული ენის მოყვარულთა რიცხვი და ეს სწორიცაა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სხვა ენებსაც ფლობს არ შეუძლია თავისი სიხარული თუ წუხილი გამოხატოს და გადასცეს მსმენელს სხვა ენაზე ისე როგორც მას სურს.

გარდა ამისა, ცნობილი ენათმეცნიერთა დასკვნით მეგრულ ენას სიტყვის მარაგით უპირატესობა აქვს მსოფლიოში, ამიტომ ჩვენი მწერლები, პოეტები და ავტორები ცდილობენ თავისი წვლილი შეიტანონ და გადაცნონ მკითხველს ამ ენის ღირსება და აუცილებლობა.

მე გერმანული ენის სპეციალისტი ვარ, თუმცა ისტორიის ფაკულტეტიც დავასრულე დაუსწრებლად. 40 წელზე მეტი ვიმუშავე აფხაზეთის საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში. 200-მდე პუბლიციური ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ჩემი მიზანმიმართულება შეცვალა დენილობამ. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ბათუმის უმაღლეს სასწავლებელში კათედრის გამგედ, სადაც გამოვაქვეყნე სამი წიგნი ქართულ ენაზე, ერთიც გერმანულ ენაზე, ჟურნალ-გაზეთებთან კავშირი არ შემოწყვეტია.

2002 წლის 8 აპრილს ჟურნალ "აია"-ში მეგრულ ენაზე დაიბეჭდა ჩემი პატარა ნაშრომი **"გასათვარი ლექსიკური სიმდიდრე"**, რომელშიც შევარჩიე ერთადერთი სიტყვა **"შირდის"** და განვსაზღვრე 150 მისი შესატყვისი, როგორი ადამიანი მოდის ან როგორ მოდის.

2009 წ. გამოვაქვეყნე **"მეგრული ხალხური პოეზია"**. დაწერილი მაქვს ის კუპლეტები და ლექსები, რომელსაც გვასწავლიდნენ სახლში ან ვმღეროდი

"ნაუხვამში" (ცაცხვის ძირას სადაც იყო ჯალაღონიების **"ჯინჯი ხატი"** და სადაც გროვედობდა ოთხი რაიონის 5 სოფელი: სკაქაონი, ჯადარი, ლაქურწუმე, ჯიხასკარი, ნაკიფუ, სკოლასაც ნაკათი ერქვა (შეგროვილი) მისუცები თუ ახალგაზრდობა ლაპარაკობდა და მღეროდა სუფთა მეგრულად, არ განიცდიდნენ სხვა ენების ზეგავლენას.

არასოდეს დამავიწყდება სტუმრად ყოფნა, როცა ვიყავი მეცხრე კლასში სამეგრელოს განაპირა რაიონის ხონის საზღვრზე ის კვლევიკური (კანდიორული) მეგრული, რომელიც დღეს ზოგიერთი ავტორი ხშირად სიტყვებს უმატებს **"უ"** ან **"სი"** ბგერებს. მაგალითად: ქარქაშიხუ, ქიმოხიკუ, ქუგუ, მორთასუნი, თქუასინი, ოფურერი, თესი, მესოფუნსი, მთარგუნქი, ნაჩებინასი, ხვამაქი, შქასი, მაქი, მიჩქუნია, მარგალურცი, გიშატი-ჯონილი, ვალირთასი, ვემდელასი, ზოთონ-ჯიცი, გაშქვანცი, რეკი, სერცი, ვამძახუქი, კათეხსი, გოლიდატურ, ვემარიინესი, მუჟანც, მთარი, დევირზარებუ, ამას ემატება კუთხურისიტყვები: ნე, ვებეც, წე, ჩხუ, ლასტი, ქი-პოტოლუქე, იებია, ული, შიუი. კი გამოვიყენოთ ეს სიტყვები, მაგრამ ავხსნათ.

ბავშვობაში ვმღეროდი: **თნს, ჭვენს, ჭვენს, ათეცადი, ურა სერს, ჭყიში გორნც ყვერე თხას. ახლა მღერიან: თნსქ, ჭვენსუ, მერეხანსუ ათეცადი ურა სერცუ, ჭყიში გორუნცუ ყვერე თხასუ.** მეგრულ ლექსებში **"უ"** და **"ს"** გამოიყენებოდა, გაანია სად. **დიდაქ კაბა დომიჭუ, ჩე ლენტო გომინწუ, გიმთხინდნ მიჩქდლო,**

ღორღონჯევიშა გომიტუ. ათე დროს მამშალიაქ მუში ჩოგორი გეინწუ მუხანას ქიეგორიჭული დო ირკიჩართო ქირჩქილუ. ჩქინი სქვამი საქორთუოში, მამშალიემქ დიკათეს, სტალინიში ოძორაფუშა, მოსკოვიშა მიდართეს, ჩქინი ბერია თექირე დო ირო თქუანს სიმართლეს, მუნანას ფანჩც დო მოპირანა სინათლეს.

ახლა ყველა ჩვენთაგანს სურს თავი გამოიჩინოს მეგრულის ცოდნით და ყოველგვარი მტკიცების გარეშე ამბობს **"სოკარი", "მანანკალა", "კანი"** მეგრულიაო. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვაკადრე კიდევ აბა **"ჩერეხ ჩურ"** მეგრული ყოფილა მუქი. მიუთითე ასეთი გადაჯიშებისათვის. ბავშვობაში გაგონილი სიტყვები ამბავზე მიუყვები, თუ ვინ იტყოდა მეტ ტყუილს. მათ შორის ერთმა დაიწყო: ტყეში ვნახე კურდღელი, რომელსაც 150 მეტრი კუდი პქონდაო, დასცინა ხალხმა, ასი მინიც პქონდაო, ისევ დასცინეს. ცოტ-ცოტად 5 მეტრამდე ჩამოვიდა. მერე გაჩერდა და მჩივლებს უთხრა. **"თქვენ იმდენს მიქანაგებთ, რომ უკუვალდ და მატოვებინებთ კურდღელსო"**. ამიტომ, ნუ მიცემთ სალაპარაკოს იმათ, ვისაც არ სიამოვნებს მეგრულის გაგონება.

სამწუხაროა, მაგრამ ამ ენას მტრები პყავს. თავი შევიკავოთ და ნუ გამოვაქვეყნებთ უცნობი და საუკვო მცნებებს შეუმოწმებლად. მე 90 წელს გადავიცდილი. უკვე წერა მიჭირს. 10 წელზე მეტია ვაგროვებ მეგრულ ლექსებს გაზეთ **"ილორიდან"**, ყველას

მოუძებნე თავისი ავტორი და დავაკაბადონე. 30 ავტორის 300 მეგრული ლექსი შეიძლება გამოვაქვეყნო, თუ ჯანმრთელობამ ხელი შემეშინა.

მე მყავს მეგობარი, მეგრული ენის დიდი მოყვარული და მცოდნე - მურთაზ ჯანჯღავა, რომელმაც გამოთქვეყნა წიგნი **"მეგრული ენის ფუნქციონირება"**. ამ გამოცემაზე წლების განმავლობაში მუშაობდა, რადგან სწავლობდა, არკვევდა ყოველ სიტყვას და მერე ვერა, ამიტომ მისი ნაშრომი ინტერესით იკითხება. ახლა დიდი ხანია მეორე წიგნზე მუშაობს არ ჩქარობს, იკვლევს ყოველი სიტყვის წარმომავლობას. მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ ის უსინათლოა, ეძებს მეგრული ენის მცოდნე მოხუცებს სოფლებში ან თბილისში სავაჭროდ ჩამოსული ხანდაზმულ მეგრელებს.

კიდევ ბევრი მაგალითი მქონდა დასაწერი მეგრული სიტყვების შესწავლის გარეშე გახუთებში გამოქვეყნებაზე, მაგრამ თავი შევიკავე, როცა წავიკითხე აკადემიკოსისა და ხუთი უნივერსიტეტის პროფესორის ბატონი მამანტი ძაძამიას სტატია **ა/წ 19 აპრილს, გაზეთ "ილორიში"**, სათაურით **"რას წარმოადგენს თანამედროვე ენა სინამდვილეში და რა იქნება მეცოდნის სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას"**.

ბატონი მამანტი ძაძამია თავის სტატიაში მოუწოდებს ავტორებს გაამახვილონ სათანადო ყურადღება საკითხისადმი. ვფიქრობ ამ სტატიას წაიკითხავს ბევრი მეგრულის ავტორი და შეიძლება კვლევიკური (კანდიორული) **"უ"**, **"სი"**, **"ქი"**-საც ეშველოს.

მირიან ჯალაღონია, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი, პროფესორი



“არ მჭირდება მკვლელობა მესაზღვრე, რომელსაც თავის ფუნქცია უიარაღოსთვის ფაქტის სროლა ჰქონია” - რომორ აფხაზები გიბა ოთხოვორიანს მკვლელობას აფხაზეთში



“როდესაც გაგიჭირდათ, ოჯახის წევრის გადასარჩენად თბილისში ჩასვლის სითამამე გვეოთ, ახლაც უნდა გვეოთ ნამუსი და ხმა ამოიღოთ!”

“გატყობ, საქართველოში დახმარების მისაღებად კიდევ ბევრჯერ მოგიწევს ჩასვლა და თქვენი დუმილი უხერხული ხომ არ არის?”

19 მაისს, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, მშვიდობიანი მოქალაქის, უიარაღო გიბა ოთხოვორიანს მკვლელობამ საქართველოში გულგრილი არავინ დატოვა. ქართული საზოგადოება ხელისუფლებისგან ქმედით და დროულ რეაქციას ითხოვს... ამ დანაშაულს მართალია, ძალიან ცოტა ადამიანისგან, მაგრამ მაინც მოჰყვა პროტესტი აფხაზეთშიც. მათი ნაწილი აფხაზ საზოგადოებაში ცნობილ ადამიანებს - ავტორიტეტებს მეტი აქტიურობისკენ სოციალური ქსელებით მოუწოდებს:

მირანდა შუმინია, სოხუმელი აფხაზი: - სირცხვილია, როდესაც აფხაზეთის საზოგადოებრივი ავტორიტეტები ქართველის მკვლელობაზე ხმას არ იღებენ... თქვენ, არც ისე დიდი ხნის წინ, თბილისში ბრძანდებოდით და იქიდან დაბრუნებული მადლიერებით აღსავსე პოსტებს წევდით. თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გადავხე-

დავთ, თქვენ, ჩვენ და კიდევ ძალიან ბევრ აფხაზს მოუწევს იქ ჩასვლა სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის ჯანმრთელობისა და ზოგჯერ სიცოცხლის გადარჩენისთვის დახმარების მისაღებად და თქვენი დუმილი, უხერხული ხომ არ არის? რა მნიშვნელობა აქვს, მოკლე ქართული 30 წლის ახალგაზრდა ნასვამი იყო თუ არა, ან რა მნიშვნელობა აქვს აფხაზმა მესაზღვრემ აფექტის მდგომარეობაში ესროლა, თუ - არა; ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი მოკლეს და ოჯახი დაობდა. თქვენ, ბატონებო და ქალბატონებო, როდესაც გაგიჭირდათ, ოჯახის წევრის გადასარჩენად თბილისში ჩასვლის სითამამე და ნამუსი გვეოთ, ახლაც უნდა გვეოთ სითამამე და ნამუსი და ხმა ამოიღოთ, რათა შემდეგ, თბილისში ჩასვლები თქვენს სინდისთან და იმ ქართველებთან იყოთ მართლები; იმათთან, ვინც იქ თქვენიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს გულშემატკივრობს; ხომ ამბობდით, რომ ქართველი ერი შეცვლილია, ჩვენი, საკუთარი თავის და იმ წარსულის მიმართ, რომელიც 90-იანი წლების ომის დროს ერთად გავიარეთ. გვახსოვს, თქვენი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო მეზობელი ქვეყანაა და მასთან ოდესმე რაღაც ფორმით მოგვიწევს ურთიერთობა. ახლა დუმხართ. რატომ? არ არის ეს დღეს პოლიტიკურად მოგვიბიანი?! არადა, თქვენს მიერ ზოგიერთი მოყვარე ქვეყნის ორმაგ სტანდარტებში დადანიშნულ მკვლელობებს და თქვენც იგივეს აკეთებთ!

ირაკლი თარბა, სოხუმელი აფხაზი: - აქ თქვენს, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილის მამა აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და შემდეგ ომის დროს მიღებული ჭრილობებით გარდაცვლილია... მაგრამ ეს მის შვილს არ ამართლებს. მე არ მჭირდება მკვლელობის მესაზღვრე, რომელსაც თავის ფუნქცია უიარაღოსთვის ტყუილს სროლა ჰქონია. ჩვენი ხომ ვიცით, რა რაოდენობით


ქართველები დაუკავებიათ გაუმართავ დოკუმენტაციას და სოხუმის იზოლაციაში გადაწყვენიან... ქართული პასპორტებით სოხუმში უპრობლემოდ შემოსული ქართველებიც გვინახავს. ვიცით, რომ ქართული გამოყვანილი ადამიანური ურთიერთობები ზოგჯერ კანონსაც მშვენივრად უვლის გვერდს... ასე რომ, რაც უნდა არაპოპულარულად აღვივდეს ჩემი სიტყვები, - მე მკვლელობაში ბრალდებულის კანონის სრული დაცვით დასჯას ვითხოვ. ხომ ვნახეთ, რომ ომმა და სისხლისღვრამ სიკეთე არ მოგვიტანა...

თემურ აბიბა, აფხაზი: - დაეკავებინათ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სოხუმში შესაბამის განყოფილებაში გადმოეყვანათ, ან როგორ დაევიჯერო, გარშემო ერთი ადამიანი არ იყო, ვინც მათ კონფლიქტში ჩაეროდა... არ მინდა პოლიტიკა, უბრალოდ ადამიანურად მაწუხებს ეს ამბავი, - ჩვენც ხომ დავმთვრალვართ, ჩვენც ხომ გვიხეხებია, მაგრამ ვიღაცას გაუშვებოდა, ისე, რომ სისხლი არ დაღვრილა. აფხაზ კაცს არ ეკადრება უიარაღოსთვის სროლა, ამას გამართლება არ აქვს... რაც შეეხება, აფხაზი საზოგადოების საყოველთაო დუმილს, ბატონებო, თქვენ კიდევ კარგა ხანს მოგიწევთ საერთაშორისო საზოგადოებისთვის იმის მტკიცება, რომ შეიცვალეთ და ცივილური მსოფლიოს ნაწილი ხართ, - ჩვენ კარგ ხანს ვიქნებით იქ, სადაც ვართ, დიდ ხანს მოგიწევს ვიღაცების ორმაგი სტანდარტების ნახადადვეი ღიმილით მიღება და საკუთარი თავის მოტყუება, რომ არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც გგონია!”

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურამ განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო გამოძიება საქართველოს მოქალაქე გიბა ოთხოვორიანს მკვლელობის ფაქტზე. დღეისათვის მკვლელობა დაკავებულია.

ლალი პაპასპირი

რა ხდება გარდაბოლა მხეთის ბირთვულ რეაქტორში და რა პირობებში იქნება ობიექტზე, რომელიც ოდესღაც საქართველოს ატომური ფიზიკის ქარა იყო



იყო დრო, როდესაც საქართველოში მეცნიერება ერთ-ერთ მოწინავე სფეროდ ითვლებოდა. ქვეყანა მსოფლიო პროგრესს ფეხდაფეხ მიყვებოდა. ქართველი მეცნიერების, ინჟინერებისა და კონსტრუქტორების ქმნილებები და გამოგონებები საერთაშორისო აღიარებას ჰპოვებდნენ. მცირე ზომის მიუხედავად, ჩვენი ქვეყანა მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის ათეულობით ობიექტს ფლობდა. გაეგვირდებოდა და, ბირთვული რეაქტორიც გვქონდა.

ბირთვული რეაქტორის მშენებლობის ინიციატივა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ელფეთერ ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა. შესაბამისი წინადადებით ელფეთერ ანდრონიკაშვილი 1957 წელს გამოვიდა. იღვას ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა. თუმცა რეაქტორის არსებობას თავისი უპირატესობებიც ჰქონდა. საქართველოს მიეცემოდა ფართო სამოქმედო არეალი ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და მეცნიერებათა სხვა დარგებში.

რეაქტორი ექსპლუატაციაში 1960 წელს შევიდა. მცხეთის რეაქტორად ცნობილი ობიექტი “მუხათგვერდის გამოყენებითი კვლევების ცენტრი” იყო. თავად რეაქტორისა და მისი ექსპლუატაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გარდა, ტერიტორიაზე თხევადი აზოტისა და ჰელიუმის გამო-

მუშავების სადგურები, საცხოვრებელი კომპლექსები მდებარეობდა. ერთ დროს ეს ადგილი საქართველოს ატომური ფიზიკის კურა იყო. ობიექტზე მომუშავე 300-მდე ადამიანი სხვადასხვა ცდებსა და ექსპერიმენტებს ატარებდა.

მაღური -269 გრადუსი) მიღწევის წყალობით, ტარდებოდა კოსმოსურ ტექნიკაში გამოყენებული მასალების უნიკალური კვლევები. ექსპერიმენტების შედეგების მადლად სიზუსტეს რადიაციული ფონიც უწყობდა ხელს.

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ, სსრკ-ს ბირთვულ ობიექტებზე უსაფრთხოების ნორმები გამკაცრდა.

1980-იანი წლების ბოლოს, საქართველოში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, მცხეთასთან ატომური რეაქტორის არსებობას საბოლოო წერტილი დაუსვა. ეროვნული ინტერესებით მართული ხალხი, ქვეყანაში ატომური რეაქტორის არსებობის საჭიროებას ეჭვს ქვეშ აყენებდა. საპროტესტო აქციებში რეაქტორის გაჩერებას და ექსპლუატაციიდან გამოყვანას მოითხოვდნენ. შესაბამისი ცოდნის არმქონე ხალხის მასები მოსალოდნელ “საფრთხეებზე” საუბრობდნენ. არადა, ექსპლუატაციის 30 წლიანი ისტორიის განმავლობაში ობიექტზე ერთი მცირე ავარიაც არ მომხდარა.

საზოგადოების ზეწოლით, რომელიც თითქოს საქართველოს უსაფრთხო მომავალზე ზრუნავს ემსახურებოდა, 1990 წელს მეცნიერებათა აკადემიამ ობიექტის ექსპლუატაციიდან გამოყვანა გადაწყვიტა. ჩვენი ქვეყანა ბირთვული რეაქტორისა და დიდი სამეცნიერო შესაძლებლობების გარეშე დარჩა.

საჭირო თანხების არქონის გამო, დემონტაჟის ნაცვლად, გათიშული რეაქტორი და მისი კონსტრუქციები დააბეტონეს. მართვის პუნქტში რეაქტორის გაჩერების დროა დაფიქსირებული.

ამჟამად, კვლევითი რეაქტორის ტერიტორია გამოყენებას სასწავლო ბაზად, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სპეციალისტები რადიო-ქიმიური ლაბორატორიის “ცხელ კამერებში” ტრენინგებს გადიან.

ნუკრი მბეზაძე

300 წლის გუგუნი თაქა

150 = 120-ს? ჩვენთან რომ დებუტატი 150-ია... ისრაელში კი - 120 კაცი, ეს თანაფარდობა რით ავსნათ, რათია, რად იწვევს უცნაურ ასოციაციას? ვინც იტყვის, ვგვობნითო, პასუხი ამჯერად, იმდენად ნათელი, იმდენად მკაცრია, რომ ახლაც ჩამესმის: „არ გვჯერა, არ გვჯერა! ისევე თქვენ დაგვლიათ, ისევე თქვენ დაგვლიათ!“

რჩევა დამოყვები მაძიებლისათვის
მაძიებელმა ყურად იღოს ეს, რადგან სხვაგვარად სკამს ვერ მისწვდება: გუშინ სწავლობდნენ ისტორიკოსებს, დღეს მათ ავჯობს იურისტებმა!

სკამებისაკენ, სკამებისაკენ!
ზოგი თხისაკენ, სხვები მგლისაკენ, თუნდაც გაეხსნას გზები ერის მტრებს, ოღონდ სელა-გეზი სკამებისაკენ არ ჩაუხერგონ კარიერისტებს!

„სინაკოჩა“
პრეზიდენტმა მოიწონა, პრემიერმა დაიწუნა! და ვერ მორჩა, ვეღარ მორჩა, „სინაკოჩა“, ანუ „ნორჩოა“ „აიწონა-დაიწონა?“

ლიპი ყინული
კონგრესმენისათვის
სიკეთის მქნელს რომ ზიზღით ახსენებს, მისო, ახსენი, შაღვა, ახსენი, დააავადეთ ერთად რა სენით თქვენ სტივ რასელი? ბეზღების ანკესს ბევრი მოება სამთავრობ-არასამთავრობად და ლიპ ყინულზე, როგორც გვსმენია, სტივი მორიგი კონგრესმენია!

ნასუშ ბიჭებს!
არ მოეშვით ჭამა-სმას და წელზე ქამარს ვეღარ იჭერთ, გვეყო თქვენგან ჯვარზე გასმა გვაძებზე ნუ დააბიჯებთ, არ მოგწყინდათ სისხლში გასურა გრანტებისგან ნასუშ ბიჭებს?

ასი ნაცი და ასიბნაცია
უსამთავრობო ქვეყნად რაც კია, თუ არაკაცზეც არარაც კია, მას არარაცკად* უამი აითვლის, - ვეველას - ერთი, თუ ასი „ნაცია“, ვინც ათამაშებს ასიბნაციას კონგრესმენისთვის, ენ-დი-აისთვის!
*არარაცკი - სპარსელთა და ცარიზმის ორმაგი აგენტი მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თბილისში.

გრანტოსანი
აქა ამბავი „არასამთავრობო“ ნაცმაცუნას მიერ ენ-დი-აის საქებრად აღვლენილი ქებათა-ქებისა. ოდესიდან გვეხვრის ისრებს, თანაც ისე, რომ კვლავ გვისევს სხვისიანს და თავისიანს! რადგან ხალხი ძირს რომ დასცეს, ვგულვებათ მისთვის „ნაცებს“ „ენჯეო“-დან შავი სია დამშუული იმდენია, სადაც უნდათ მიდენიან! (რა გაუძლებს ამდენ „გაის“?) ჰოდა, ვინმე ხოშტარია, რაკი გრანტის მუშტარია, თანაც მისოს უსტარი აქვს, ხობტას უდღენის ენ-დი-აის!

რას ელის რასელით?
რად უხარია ასე ძალიან, რომ „ნაცებივით“ მამუზდარია? რად და მათსავით მათხარია და რასელიდან მოუხარია!
ალექსანდრე შენბელია

თითქოს მიხილ სააკაშვილი გველაპარაკება ოდესიდან პაატა ბურჭულაძის პირით



მიშა ოდესელი საარჩევნოდ ახალი პოლიტიკური ოპერის დადგმას აპირებს, რომლის კომპოზიტორიც, ლიბრეტოს ავტორიც და დირიჟორიც თვითონ არის.

მომღერლები შერჩეულია, დეკორაციები დამზადებულია და, რაც უპირველესია, მთავარ როლზე უკვე დამტკიცებულია ცნობილი რუსული ბანი პაატა ბურჭულაძე.

ამ ამბავს მიშა ოდესელი და სხვა ნაციონალისტური საიდუმლო ინახავდნენ და მთავარ როლზე ბურჭულაძის დანიშნვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონი პაატა პოლიტიკური განცხადებით წარსდა ქართველი ხალხის წინაშე, ყველაფერი ნათელი გახდა და ნაცების და ბურჭულაძის საიდუმლო "სიყვარულს" ფარდა აეხადა.

საქმე ის არის, რომ ეს განცხადება, რომელსაც ბურჭულაძე თავისივე მიხედვით, სულაც არ არის მხოლოდ ბურჭულაძის - ის, ფაქტობრივად, სააკაშვილის და ნაციონალისტების სხვა ლიდერების მიერ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაკეთებული განცხადებებიდან ამოკრეფილი და ოდნავ სახეცვლილი ციტატების ერთგვარი კოლაჟია, ეს ყველაფერი კი ისე უნიჭოდ, ისე უგერგოდ და კუსტარულად არის გაკეთებული, რომ ყოველგვარი პროფესიონალი ექსპერტიზისა და კრიმინალისტური კვლევა-ძიების გარეშეც ცხადია, საიდან და როგორ არის შეკრებილი ბურჭულაძის განცხადების ტექსტი.

შეშვებულადაა, ვერ დაინახოს ადამიანი, რომ ამ 25 წელმა გაიარა, ეს ეპოქა დასრულდა, დამთავრდა, ის წარსულია, ის უკან აღარ დაბრუნდება. ეს გამარჯვებულობა და მარცხით სავსე 25 წელი, რა თქმა უნდა, მშენებლობის, მაგრამ, იმავედროულად, ადამიანის უფლებების სრული ინგორობის 25 წელი, ადამიანების საარჩევნოდ ყიდვის და მერე გაყიდვის, სიცრუის, მაგრამ იმავედროულად გმირობის, თავდადების, ნამდვილი პატრიოტიზმის, სიყვარულის 25 წელია. ეპოქა დასრულდა, და ყველა, ვინც ცდილობს, ეს ეპოქა ვირტუალურად უკან დააბრუნოს, წარსულში გაცხობროს, წარსული გამოგვიკეპოს, მტრის ხატით შეგვაშინოს, არის იმ 25 წლის საკუთრება, მისი მძევალი და ასეთი ხალხი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს", - ამბობს ბურჭულაძე.

კი, მაგრამ, განა ზუსტად იგივეს არ ამბობენ "ნაციონალისტები", რომლებიც პირაქაფებულნი მოგვიწოდებენ, დაგივიწყეთ ყველა ის არაკაცობა, რაც მათ ამ ცხრა წლის განმავლობაში ჩაუღვინათ, დაგივიწყეთ ქუჩებში დახვრებილი ადამიანები, დაგივიწყეთ მათ მიერ ციხეებში გამოკეტილი ათასობით და ათათასობით ადამიანის ტრაგიკული ბედი, დაგივიწყეთ, როგორ გაძარცვეს, როგორ გაყველიყვეს საქართველო და როგორ გაზიდეს მილიარდები ქვეყნიდან, დაგივიწყეთ, როგორ დაკარგეს ქვეყნის ტერიტორიის თითქმის მესამედ და დამარცხებული ბრძოლები როგორ სერიოზულად "გამარჯვებას", დაგივიწყეთ, როგორ მოახრეს ქართული სოფელი, როგორ გაყიდეს და გაასხვისეს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები და ა. შ.

დაგივიწყეთ ეს ყველაფერი, ბატონო პაატა და ქვეყნის მშენებლობა "სუფთა ფურცლიდან" დაგივიწყეთ? "ნაციონალისტები" სიტყვა-სიტყვით განა იგივეს არ ამბობენ, რასაც თქვენ ახმოვანებთ თქვენს განცხადებაში - თავი დაანებეთ ჩვენს მოხსენიებას მტრებად და მოლაღატებებად, ხაზი გადავუსვათ გუშინდელ დღეს და ყველა ერთად ახალი დღიდან დაგივიწყეთ ქვეყნის ბედზე ზრუნვა.

სულ ახლახან "ნაციონალისტები" ისიც კი განაცხადეს - ხელისუფლებაში რომ მოვალთ, მეორე დღესვე პოლიტიკურ ამინტის გამოვაცხადებთ და ყველას ყველაფერი ეპატიება.

როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის აპირებენ "ნაციონალისტები" ამინტის გამოცხადებას და საკუთარი თავისთვის ყველა დანაშაულის ჩამოწმას, თორემ "ქართული ოცნებას" საამისტიო არაფერი დაუშავებია.

"ნაციონალისტები" ფარულ ქომაგად და ადვოკატად მოვლენილი თუ საიდუმლო მოვლენილი პაატა ბურჭულაძე ცდილობს ერთ ეპოქად მონათლოს განვლილი 25 წელი, ყველა ერთ ქებაში ჩაყაროს და ერთად მოხარშოს - ზვიად გამსახურდიას პერიოდი, ედუარდ შევარდნაძის "მეფობის" ხანა, "ნაციონალისტების" რეჟიმიც და "ქართული ოცნებაც".

იცის ბატონმა პაატამ, განა არ იცის, რომ ამ ოთხი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პერიოდის ერთ "ეპოქად" შეკვრა, ერთ ეპოქად მონათვლა და ამ პერიოდში მოღვაწე პოლიტიკოსების ერთმანეთთან გათანაბრება და გაიგივება, მტყუვნების და მართლების ერთ თარგზე მოჭრა, მკრეხელობა და ფარისევლობაა, რომელიც დანაშაულის ტოლფასია.

იცის ეს ყველაფერი ბურჭულაძემ, მაგრამ რა ქნას, ასეთი დავალება აქვს მიღებული და დავალების მაგისტრალურ ხაზს ხომ ვერ გადაუხვევს?

დავალების არსი კი ასეთია - როგორმე ხელისუფლებათა საერთო მარაქაში გააპაროს "ნაციონალისტები" და "საერთო" ეპოქის ნაწილად გამოაცხადოს, რომელსაც ამ ეპოქისთვის ნიშანდობლივი საერთო ღირებულებები და საერთო ნაკლი ჰქონდა თურმე და მეტი არაფერი.

კეთილსინდისიერი და ობიექტური ადამიანი ბურჭულაძისგან აბსოლუტურად განსხვავებულად მოიქცეოდა და იმ 25-წლიანი პერიოდისგან აუცილებლად ცალკე გამოყოფდა "ნაციონალისტების" მმართველობის 9-წლიან რეჟიმს და ამ რეჟიმის დამმარცხებლის "ქართული ოცნების" მმართველობის პერიოდს, რომელიც თავისი ჰუმანური, ადამიანურ ორიენტირებული პოლიტიკით ისე განსხვავდება "ნაციონალისტებისგან", როგორც ცა დედამიწისგან.

კეთილსინდისიერი ადამიანი, ცხადია, ასე მოიქცეოდა, ბურჭულაძემ კი "ნაციონალისტების" უტიფრად გადააქარა "ქართული ოცნება" და ორივე წარსული დაარქვა, რომელსაც უნდა დაეშვიდობოთ.

"დასაწყისისთვის დავეშვიდობოთ წარსულს, უნდა გავიგოთ, რომ ეს ეპოქა დასრულდა, დამთავრდა, წარსული ჩაბარდა და თან გაიყოფა ყველა ის პოლიტიკოსი, რომელიც ამოცანა იყო სხვა პოლიტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა და არა ქვეყნის აღზევება", - ბრძანებს პატივცემული ბურჭულაძე და იქვე აგრძელებს: "მსოფლიოს რუკაზე არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მიზანი, რომელსაც არ აქვს მიმართულება, რომელიც არ გეგმავს მომავალს, რომელიც არ ცდილობს იყოს თავმოყვარე, ღირსეული, მეტროპოლი, გავლენიანი. ჩვენ ამ ხელისუფლების პირობებში მივიღეთ ქვეყანა, რომელსაც არ იცის, რა უნდა, გარდა იმისა, რომ მედია თურმე უნდა იყოს თავისუფალი და ბიზნესი ხელშეწყობილი. 21-ე საუკუნეში ეს არ შეიძლება იყოს ქვეყნის ამოცანა, ეს უთავმოყვარეო, უმიზნო, უსაგნო პოლიტიკის ამოცანაა.

ამ მიერე ხნის განმავლობაში უკვე ნათელი გახდა, რომ პაატა ბურჭულაძისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება. ამ მიერე ხნის განმავლობაში მან მოასწრო და იმდენი საწოთირო და გულისრევილი (არ მინდა ვთქვა, სულელური) განცხადება გააკეთა, ნათელია, რომ მისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება.

არადა, არჩევნებამდე კიდევ დიდი დროა და მან თუ ასე გააგრძელებს, არჩევნებზე ნულთან რეტირება მიეცა. იმერეთში იტყვიან, ბავშვი ბურჭულაძის, ანუ ბავშვი ცელქობს, თამაშობს. ბურჭულაძემ ბურჭულაძის და მისი პოლიტიკოსობაც ბავშვის ცელქობას და თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული ადამიანის სერიოზულ ქმედებებს.

12 მაისს გავრცელებული მისი პოლიტიკური "უსტარის" შინაარსიდან ბევრმა აზრი ვერ გამოიტანა, რადგან ეს აზრი, ჩამოყალიბებული, აწონილ-დაწონილი აზრი, შიგ არ არის.

ბურჭულაძის სასოწარკვეთილი მცდელობა - გაეფორმებინა "ნაციონალური" რიტორიკა ისე, რომ არ გაშიფრულიყო და თან დამკვეთის დავალებაც შეესრულებინა, სრული კრახით დამთავრდა. მართლაც, რას ბურჭულაძის ბურჭულაძე, როცა პოლიტიკოსობას და სხვისთვის ნამუსის მოწმენდას თავს დაანებებ და რეალობას პატიოსნად

შეაფასებ, ხოლო ამას თუ გააკეთებ, არ შეიძლება არ შეამჩნიო, რომ "ქართული ოცნება" არა მარტო ბიზნესი და მედია გაათავისუფლა, არამედ ტერორით და რეპრესიებით დათრგუნული ადამიანები გაათავისუფლა შიშისგან, შეურაცხყოფილი და დამამცირებელი მასობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლის, ფსიქოლოგიური ძალადობისგან.

მერე არ, რომ "ნაციონალისტები" ხმამაღლა არ ყვირიან და არ აპირებენ, განა ფაქტი არ არის, რომ "ქართული ოცნება" ამ ოთხ წელიწადში ორჯერ და სამჯერ მეტი საქვეყნო საქმე გააკეთა, ვიდრე "ნაციონალისტები" მთელი ცხრა წლის განმავლობაში.

განა ფაქტი არ არის, რომ "ქართული ოცნების" მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ჯანდაცვის სფეროში ათათათობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, ისე, როგორც იხსნა მათი ოჯახები ეკონომიკური განადგურებისგან და განაგებისგან, როგორც ეს "ნაციონალისტები" "ბედნიერ ეპოქაში" ხდებოდა.

განა ფაქტი არ არის, რომ დღეს სასჯელადღერებულ და წესებულელებში სულ სხვა ვითარებაა და იქ მოხვედრილ ადამიანებს ნორმალურ, ადამიანურ გარემოში უწევთ სასჯელის მოხდა, ისე, რომ მათ არავინ ამცირებს, არავინ აწამებს, არავინ შეურაცხყოფს.

რა ვქნათ ახლა, ბატონო პაატა, რადგან თქვენს ოდესელ დირიჟორს ასე სურს, ეს ყველაფერი ჩამოვწყოთ, გადავფხვიკოთ, გადავშალოთ, წარსულს ჩაგაბაროთ და სუფთა ფურცლიდან დაგიწყოთ?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენად "სუფთა" იქნება ეს გადაფხვიკულადაშლილ-გადაღებულ ფურცელი, თქვენ რომ გვაჩვენებთ ხელში?

სუფთა ფურცელია თუ პალიმფსესტი, სადაც "ნაციონალისტების" აგაკაციონის ამ-სახელო ძველი ტესტი სადღეისო სქელი ვენით იქნება დაფარული, ზედ კი მსხვილი ასოებით დაეწერება ბურჭულაძის დევიზი "სახელმწიფო ხალხისთვის", რომელმაც რატომღაც ლენინი და პროლეტარატის დიქტატურა გამასხნა.

ერთი შეხედვით, სად ლენინი და სად ბურჭულაძე, მაგრამ თუ ყურადღებით წაიკითხავთ ბურჭულაძის "პოლიტიკურ მანიფესტს", ადვილად მიხვდებით, რომ არც მთლად უმცისობაა.

ესაა დროის კონტექსტიდან ამოგლეჯილი, შარღატანური, პოპულისტური იდეებით გაჯერებული ტექსტი, რომლის ავტორი თვითონვე იხლართება და იბლანდება ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებში.

ერთადერთი რამ, რაც "მანიფესტის" ავტორმა ზუსტად იცის, ისაა, რომ როგორმე გაათეთროს და პასუხისმგებლობა მოუხსნას უამრავ დანაშაულში ბრალდებულ "ნაციონალისტებს", თუმცა ამასაც ძალზე უნიჭოდ და უხეიროდ აკეთებს.

ამ მიერე ხნის განმავლობაში უკვე ნათელი გახდა, რომ პაატა ბურჭულაძისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება.

ამ მიერე ხნის განმავლობაში მან მოასწრო და იმდენი საწოთირო და გულისრევილი (არ მინდა ვთქვა, სულელური) განცხადება გააკეთა, ნათელია, რომ მისგან პოლიტიკოსი ვერ დადგება.

არადა, არჩევნებამდე კიდევ დიდი დროა და მან თუ ასე გააგრძელებს, არჩევნებზე ნულთან რეტირება მიეცა.

იმერეთში იტყვიან, ბავშვი ბურჭულაძის, ანუ ბავშვი ცელქობს, თამაშობს. ბურჭულაძემ ბურჭულაძის და მისი პოლიტიკოსობაც ბავშვის ცელქობას და თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული ადამიანის სერიოზულ ქმედებებს.

12 მაისს გავრცელებული მისი პოლიტიკური "უსტარის" შინაარსიდან ბევრმა აზრი ვერ გამოიტანა, რადგან ეს აზრი, ჩამოყალიბებული, აწონილ-დაწონილი აზრი, შიგ არ არის.

ბურჭულაძის სასოწარკვეთილი მცდელობა - გაეფორმებინა "ნაციონალური" რიტორიკა ისე, რომ არ გაშიფრულიყო და თან დამკვეთის დავალებაც შეესრულებინა, სრული კრახით დამთავრდა.

მართლაც, რას ბურჭულაძის ბურჭულაძე, როცა პოლიტიკოსობას და სხვისთვის ნამუსის მოწმენდას თავს დაანებებ და რეალობას პატიოსნად

ბები საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლით ორი დიდი ქველმოქმედი უპირისპირდება ერთმანეთს.

ამ ორი ქველმოქმედისგან ერთი, ბიძინა ივანიშვილი, ნამდვილად ვიცო, მაგრამ მეორეს ვერა და ვერ ვიხსენებ.

საქმე ის არის, რომ პაატა ბურჭულაძე არსოდეს ყოფილა ქველმოქმედი - ის არის საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზატორი და მენეჯერი.

საერთოდ, ბიძინა ივანიშვილთან პაატა ბურჭულაძის, როგორც ქველმოქმედის, ხსენება სასაცილოა და მეტი არაფერი.

"ნაციონალისტები", ზოგიერთი სინდისგარეცხილი თბობიერი პარტიების და მათ ხმას აყოლილი ქართველთა მცირე ნაწილის გარდა, საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვინც არ დადასტურებს, რომ საქართველოს, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, არასოდეს ჰყოლია ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის ქველმოქმედი და მეცენატი.

დიდი უმადური და დიდი უნამუსო უნდა იყო, რომ ეს უარყო.

სამწუხაროდ, უმადურობა და უნამუსობა ზოგიერთმა პროფესიულად გაიხადა და პროფესიონალ უნამუსოდ იქცა...

დასანანი იქნება, თუ მათ რიცხვს პაატა ბურჭულაძეც შემატებთ.

არადა, მას ამის დიდი შანსი აქვს, თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებს "ნაციონალისტების" მიერ შემოგდებულ ფრაზებს, მაგალითად, ასეთს: "არ გვინდა, რომ ქვეყანას ჰყავდეს არაფორმალური ბატონი და მისი გემოვნებით გცხოვრობდეთ, მისივე გემოვნებით შექმნილ სამყაროში".

ამ არაფორმალურ ბატონში, ბურჭულაძეც, ცხადია, ბიძინა ივანიშვილიც გულისხმობს.

- ჰოდა, არ შეხედოთ ამ არაფორმალური ბატონის მიერ გაახლებულ ოპერაშიო, - მოუწოდებენ მოქალაქეები სოციალური ქსელებიდან სააკაშვილის "ოპერაში" გადაბარებულ ბატონებს.

მოქალაქეები ისეთ მკვახე და მწარე შეფასებებს აძლევენ ბურჭულაძის გაპოლიტიკოსებას, მათი გამოთრება უხერხულად მიმდინია.

ღირდა კი ეს ყველაფერი "ნაციონალისტებისთვის" ბანის აყოლებად?

აქა-იქ უკვე გაისმა მოთხოვნა, გაირკვეს, რა ხდებოდა იმ საქველმოქმედო ფონდებში, რომლებსაც პატივცემული პაატა ხელმძღვანელობდა.

იმავე სოციალურ ქსელებში ფონდ "იან-ნანას" "იან-ნანას" მათვლად მოხსენიებენ და ეტყენ გამოთქვამენ, რომ იქ შვიი ფული ირეცხებოდა, ხოლო თანხის დიდი ნაწილი ქველმოქმედებას კი არა, სულ სხვა კომერციულ საქმეებს ხმარდებოდა და გაჭირვებულთა და უოვართა დასახმარებლად კი არა, სულ სხვა მიმართულებით მიედინებოდა.

ახლა, როცა ბატონმა პაატამ ქველმოქმედის მანტია მოიხსნა და პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, შესაბამისი ორგანოები, უფრო ზუსტად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ვალდებული არიან, გამოწვლილოთ შეისწავლონ და საზოგადოებას ამცნონ, როგორც ერთი, ისე მეორე ფონდის საქმიანობის დეტალები, რომ ცუდად აგორებული ეჭვი ან დადასტურდეს, ან გაქარწყლდეს. დაბოლოს, ეს წერილი მინდა დავამთავრო ამავ თემისადმი მიძღვნილი ჩემი ერთი წერილის ფრაგმენტით:

"ნაციონალისტები" ბავშვი ბურჭულაძის, ანუ ბავშვი ცელქობს, თამაშობს. ბურჭულაძემ ბურჭულაძის და მისი პოლიტიკოსობაც ბავშვის ცელქობას და თამაშს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზული ადამიანის სერიოზულ ქმედებებს.

12 მაისს გავრცელებული მისი პოლიტიკური "უსტარის" შინაარსიდან ბევრმა აზრი ვერ გამოიტანა, რადგან ეს აზრი, ჩამოყალიბებული, აწონილ-დაწონილი აზრი, შიგ არ არის.

ბურჭულაძის სასოწარკვეთილი მცდელობა - გაეფორმებინა "ნაციონალური" რიტორიკა ისე, რომ არ გაშიფრულიყო და თან დამკვეთის დავალებაც შეესრულებინა, სრული კრახით დამთავრდა.

მართლაც, რას ბურჭულაძის ბურჭულაძე, როცა პოლიტიკოსობას და სხვისთვის ნამუსის მოწმენდას თავს დაანებებ და რეალობას პატიოსნად

ლაპარაკში კი იმდენი "თვალ-მარგალიტი" დააფრქვიეთ სჯობდა ისევ გემდებოთ, ბატონო პაატა, მაგრამ ახლა უკვე გვიანია...

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძობს ოჩამჩირიდან დევნილ დამსახურებულ პედაგოგს, ბატონ ნაპოლეონ გერგედავას შვილის ონერ ბერბელავას გარდაცვალების გამო



ამბავი ესა გიგა ბოკერიას და ნიკა მელიას ფარულად გაგზავნისა



“ნაციონალური მოძრაობისა” და “ქართული ოცნების” წარმომადგენლებს შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის №53-ე უბანზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ჩხუბში სპორტსმენებიც იყვნენ ჩართული და გამოყენებულ იყო ხელკეტები.

ადგილობრივი სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით მივიდნენ. დაშავებულია “ნაციონალური მოძრაობის” რამდენიმე წევრი, მათ შორის ნიკა მელია, გიგა ბოკერია და თენგიზ გუნავა. ასევე, “ქართული ოცნების” მხარდამჭერები და აქტივისტები. “ნაციონალური მოძრაობაში” აცხადებენ, რომ ხელისუფლება ამ გზით უსწორდებათ თხოვნისას, რადგან არჩვენებს აგებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა გვასალია კი, არ ფლობს ინფორმაციას, ვინ მიიყვანა უბანზე სპორტსმენები. მისი თქმით, დაპირისპირება სიტყვიერ შეურაცხყოფას მოჰყვა.

ასევე, ხელი დაარტყეს მედიის წარმომადგენლებს.

“ნაციონალური მოძრაობის” წევრის ირმა ნადირაშვილის განცხადებით კი, “ოცნება” ამ მეთოდით ცდილობს მთავარი

ოპონენტის ჩამოცილებას, რადგან კორცხელში არჩვენებს “ნაციონალური მოძრაობის” წევრებს. “ნაციონალური მოძრაობის” წევრები განუთხოვნიან არასდროს მინახავს. არ იყო პოლიცია. თბილისიდან ჩამოყვანილი მოტივაციები და რაგბისტები რკინის დუბინკებით და კასტეტებით შეიარაღებულნი უსწორდებოდნენ ადამიანებს. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ კორცხელში არჩვენებს “ნაციონალური მოძრაობა” იგებს” – დაწერა ნადირაშვილმა ფეისბუქის პირად გვერდზე.

არადა, ნაციონალურებს ისევ 2003 წელი ჰგონიათ, როცა შეეარდნათ ხონით მითავა ხელისუფლება თავის მიერვე უნიჭო და დღემდე პოლიტიკური სპექტაკლით, რომელსაც შეძლევს “ვარდების რევოლუცია” ეწოდება. მოწამლულები არიან რა ძალაუფლების ხიბლით, როცა განუთხოვნიან სოციალურ უდანაშაულო ადამიანებს ქუჩებში თუ ციხეებში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი სომხურ-დაშნაკური დამოკიდებულების გამოისობით იჯიბავდნენ მილიარდებს, ნაციონალური ყოველგვარ სიბინძურესა და პროვოკაციებზე მიდიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ამიტომ, ქართულმა საზოგადოებამ უნდა გამოიღოს ხელი ამ არაადამიანებისა და პოლიტიკური მოროდიორების გასანეიტრალებლად და არც მათი თავპირის მტრეგებაზე უნდა ვთქვათ უარი, თუ ეს ნაცდაშნაკების ქმედებები ადამიანურობის ყოველგვარ ზღვარს გადასცილებულია, როგორც ეს სოფელ კორცხელში მოხდა. მტკიცდება ისიც, რომ კორცხელის ინციდენტის ორგანიზატორი გახლდათ სრულიად გადაგვარებული არსება გიგა ბოკერია. რაც შეეხება არჩვენებს, მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა ნორმალურ ქართველებს – წინასწარი მონაცემებით, ოპორტუნისტების რაიონის სოფელ ნასაკირალსა და ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის არჩვენებში გაიმარჯვეს ნაციონალურმა.

რაც შეეხება სოფელ ნასაკირალს, აქ ყველაფერი ნათელია, რადგან გურიამი

ცნობილმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მისაკო ორავგელიძემ ჩაის კრუვის გეგმის შესასრულებლად მუშახელი რომ არ ჰყოფნიდა, ლამის ნახევარი სომხეთი ჩაასახლა გურიამი და ახლა სწორედ მათი შთამომავლები თანაუგრძობენ თანამემამულე სააკიანცსა და მის სომეხ დაშნაკებს.

კორცხელის შემთხვევა კი გვაფიქრებინებს, რომ აქაურებს ისე ღრმად აქვთ გაკეთებული უკანალში ნაციონალური ცოცხი, რომ უკვე აზროვნება დალატობთ და მტერ-მოყვარის ერთმანეთისაგან გარჩევის უნარი სრულად აქვთ ატროფირებული. ყოველთვის მეგონა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სამეგრელოში ნაციონალურებს აბსოლუტური გამარჯვება განპიროვნებული იყო როლანდ ახალაიას ბანდის მიერ სამეგრელოში ჩანერგილი შიშით, მაგრამ, ახლა ვერწმუნდები, რომ მეგრელთა სიმპათიები სომეხი ნაცდაშნაკებისადმი განპიროვნებულია მათ მიერ გაკეთებული ცოცხებისაგან მიღებული ესთეტიკური ტკობით!

მაღე საპარლამენტო არჩევნები მოდის და იმედია, რომ კორცხელელები და ჩვენი საამაჟო კუთხის სხვა წარმომადგენლები ბოლომდე არ შეუშვებენ საკუთარ სხეულში ნაციონალურების მიერ გაკეთებულ ცოცხს! ასე რომ, ჩვენი კორცხელელებო, არჩვენებამდე ან უნდა გამოიღოთ ეს ცოცხი თქვენი უკანა ტანიდან, ან ისე უნდა შეუშვათ ბოლომდე, რათა აღარ გამოჩნდეს და მომავალ თაობებს თქვენი გასამართლებისა და საყვედურის გამოცხადების საშუალება არ მისცეთ!..

რაც შეეხება მთლიანად საქართველოს, მიუხედავად ფრაგმენტული წარმატებისა, ავად-სახსენებელმა სააკიანცმა და მისი ბანდის წევრებმა კარგად იცინა, რომ მომავალ არჩევნებში განწირულები არიან სამარცხვინო წაგებისათვის, რადგან ნორმალურმა ქართულმა საზოგადოებამ 2012 წელს უთხრა მათ უარი. კარგად იცინა რა, რომ საზოგადოების დეგენერირებული ფენის გარდა ნაცებისადმი

სიმპათიებს არავინ ამჟღავნებს, ისინი ცდილობენ ამგვარი პროვოკაციებით მიქციონ მათ მიერ მოქრთამული უცხოელი არაკეთილსინდისიერი პოლიტიკანების ყურადღება და გამოაცხადონ არალეგიტიმურად მომავალი საპარლამენტო არჩევნები. მაგრამ არაფერი გამოუვათ, რადგან დღია მათ მიმართ ქართველი ხალხის ზიხილი და უნდობლობა!

საპ. ივ. მ.
P.S. ეს ამბავი არც თუ შორეული წარსულის ერთ კონფიზს მაგონებს. მეოცე საუკუნის ოციანი წლების საბჭოთა კავშირში უღმერთოთა სექტა დაუნდობლად ებრძოდა მართლმადიდებლურ ეკლესიას და ამ ბრძოლის ფრონტი საქართველოშიც საკმაოდ ენერგიულად მოქმედებდა. ერთ-ერთი სოფლის ეკლესიის სახურავზე ათეისტი თავმჯდომარე ავიდა, ჯვარი გადამოავლო, დაბლა ჩამოვიდა და მამლაცინური ყინილი გამოუცხადა სოფლის მორწმუნე მოსახლეობას:

– რომ ამტკიცებთ, ღმერთი არისო, აბა, რა დამაკლო თქვენმა ღმერთმა?

– ამაზე მეტი რა უნდა დაგაკლოს – გადამთიელი ბარბაროსივით ავიყვანა ეკლესიის სახურავზე და ჯვარი გადმოგაგდებინა! – უპასუხა “ჯვარმმუსერელს” ერთ-ერთმა დამწმენებელმა მორწმუნემ.

ჩვენი საქმეც თითქმის ასეა – როცა გვავს მსოფლიოს პოლიტიკური წრეების მიერ ბრძენ პოლიტიკოსად აღიარებული ალექსანდრე ჰაბიბა და ხმას აძლევს გადაგვარებულ-გადაჯიშებულ ნაციონალურებს, ღმერთის მიმართ სამღვრავი ნამდვილად არ გეთქმის!

ეს წერილი შესანიშნავი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის ალექსანდრე შენგელიას ლექსით მინდა გავასრულო:

ეგებ თქვა მოკლედ, „იასნად“, რად სცემეს ბოკერიასა? თუმცა ენაზე ბლერი აქვს, რატომ გალახეს მელია? გვინდა, სხვა „ნაცებს“ ვუჩვენოთ, სიკვდილს რომ გადაურჩნენო!

ქართული სჯავებით ქართველ ებრაელებთან

ისრაელში ოთხდღიანი წარმატებული გასტროლების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა ქუთაისელ მოცეკვავე ბავშვთა ანსამბლი „მუშპარტი“, რომელსაც ცნობილი ქორეოგრაფი, ბრწყინვალეებისა და ღირსების ორდენოსანი არმაზ ლიპარტელიანი ხელმძღვანელობს.

ნორჩებმა რამდენიმე კონცერტი გამართეს ქალაქ ნეთანიაში, მათ შორის ღია ცის ქვეშ და მაყურებელთა დიდი იმწონება დაიმსახურეს.

ალექსანდრე შენგელია
სურათებზე: ნორჩი მოცეკვავეები და მათი ისრაელი თავყვანისმცემლები, მათ შორის ქართველ ებრაელთა სათვისტომოს თავლახინო წარმომადგენლები, ერეცის-რაელის ქართულენოვანი თეატრის თავკაცი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზური ბოთურაშვილი და პოეტი ნანა შაბათაშვილი-დავარი.

ღარმჯან ბობოლაძის ფოტოები



ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ბანცხადება მადინაფელას მარბალური ნინა!

შეუძლებლად ვთვლი ამ დღეებში ხურჩაში მომხდარ ტრაგედიას არ გამოვეხმაურო...

უწინარესად ვიტყვი იმას, რომ უფალმა გაანათლოს გიგა ოთხოზორიას სული...

ნამდვილად არ ვიცი მეკვლევი, რომლის ფოტოც ამ დღეებში ინტერნეტით რომ ვრცელდება ის თურქული გვარის მქონე არსებაა თუ ვინმე სხვაა, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ამ საზარელი დანაშაულის ჩამდენი – ის უნდა იქნას მკაცრად დასჯილი! ამავე დროს, საქართველოს სპეცსამსახურებს მოვეუწოდებ კარგად შეისწავლონ საქართველოში, კერძოდ კი, სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე ე. წ. დამკვირვებლის და მონიტორინგის საფარქვეშ მოქმედი ცალკეული ადამიანების თუ სტრუქტურების საქმიანობა! ვიდაცას შესაძლოა სრულ გაუგებრობად და უსაფუძვლოდ მოეჩვენოს ჩემი ამგვარი რიტორიკა, მაგრამ ვაკვირდები რა მოვლენათა დინამიკას – მიჩნდება გონივრული ეჭვი, რომ რეგიონში დაბაზულობის ესკალაციით დაინტერესებულნი ნამდვილად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ძალები, რომელთაც ნებისმიერ ფასად სურთ კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობის არა მოგვარება, არამედ გაუარესება! დიახ, ეს ყველაფერი ლოგიკურად თავსდება გლობალიზაციის პოლიტიკის კონტექსტში! სადღაც, კორდონებს იქით დაწერილია სცენარი, რომლის მიხედვითაც ჩვენი რეგიონი უნდა იყოს მუდმივი დესტაბილიზაციის პირობებში! უფრო მეტიც, როგორც ჩანს განზრახულია ეს რეგიონი აქციონ საომარი მოქმედებების პოლიგონად! სადღაც, ვიდაცებს სურთ რუსული დათვი ხამუტით შებოჭონ და ამისათვის მათ ესაჭიროებათ დროგამოშვებით მსხვერპლთ-შეწირვაც! როცა, არსებობს ასეთი მიზანი, ბუნებრივია, რომ მათ არც უბედური მსხვერპლის მოძებნა გაუჭირდებათ და ცხადია არც უბადრუკი „კანჯი-ოღლები“!

გული მიგრძნობს და აზრიც მკარანახობს, რომ ძალიან დიდ განსაცდელი გველოდება! კურცხას კოლხ-იბერ-აფხაზეთში! კურცხას!

ჩემამდე მოდის ხმები, რომ მავანი გამოთქვამენ მოსაზრებას, თითქოს მეგრული ენა დაცულია და მას გაქრობის საშიშროება არ ემუქრება! ეს რა თქმა უნდა არის ჩვენი ერთ დროს დედამიწის დიდ სივრცეზე განფენილი, მაგრამ ამჟამად შავრენის ტყავით დამცრობილი საშობლოსა და მითაჟამინდელი ხალხის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემისადმი ზერელე და გულგრილი დასოკიდებულება! სამწუხაროა, რომ ეს ადამიანები, მათ შორის ალბათ შინაგანი წესიერებისა და პატივითული სულისკვეთების მქონენიც, ნებისთ თუ უნებლიედ ხდებიან მხარდამჭერნი მეგრულფობიით ცნობილი ფუტკარადის მაგვარი ვაიმოღვაწეებისა!.. მინდა მიახიტოთ თუ გულუბრყვილოთა ყურადსაღებად განვაცხადო შემდეგი: დღეს, გლობალიზაციის, ფსევდოლემოკრატიზაციის, ფსევდოლიბერალიზაციის, სუროგაზიციის და თუ გნებავთ სოლომიზაციის ეპოქაში არა თუ მეგრულ-ლაზურ და სვანურ ენებს, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება გაქრობის საშიშროება! ღმერთო ჩემო! ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ხატონად რომ ვთქვა, გლობალიზაციის ოკეანეში ავარდნილი ცუნამი წაღვევით ემუქრება ჩვენივეს ესოდენ ძვირფას ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას! მე არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემაა! არა, ეს მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ ჩვენ კოლხ-იბერებს ჩვენი გაგვირგვინა და სწორედ ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებული ხელისუფლება! სწორედ ახლა გვჭირდება ეროვნული სულისკვეთების ადამიანებით დაკომპლექტებული ხელისუფლება, რომელიც ისედაც მორყეულ ჯებირებს კიდევ უფრო კი არ მოარყევს და მოშლის, არამედ გაამაგრებს და იმ ცუნამს მტკიცედ დაუხვდება! მოეხსენება სულ ყველას, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ლექსიკური სიმდიდრე. ჩვენს ერს კოლხურ-იბერიული (ქართველური) ენობრივი ტრადიის სახით გააჩნია უნიკალური საუნჯე! აი, ამ საუნჯეს სჭირდება მოვლა, მზრუნველობა, პატრონობა! სწორედ, ამ სულისკვეთებით მე და ჩემმა მეგობრებმა მივმართეთ საქართველოს პარლამენტს და ვთხოვეთ მას საკანონმდებლო დონეზე გადაწვეტილიყო ქართველურ (კოლხურ-იბერიულ) ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების საკითხი. სამწუხაროდ, პარლამენტის მიერ ეს ინიციატივა იგნორირებული იქნა! გასაგებია, რომ მას ამისთვის არ ეცალა! გასაგებია, რომ მართლმწიფ კანონმდებლებს სულ სხვა შინაარსის და სულისკვეთების კანონ-პროექტები ჰქონდათ დასამუშავებელი და დასამტკიცებელი, მაგალითად ისეთი, როგორცაა ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ეხება სოლომიტების დაცვა-წახალისება-პროპაგანდირებას!.. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს როგორც არასდროს, ახლა სჭირდება ეროვნული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებული ხელისუფლება-მთავრობა!

სწორედ ამიტომ ვცდილობთ შექმნისდაგვარად პროპაგანდა გავუწიოთ ყოველივე ეროვნულის დაცვას! სწორედ ამიტომ ვცდილობთ ჩვენი თვითმყოფადობის და უნიკალურობის გამოხატვით ფასეულობების დაცვას! სწორედ ამიტომაც გამოვედით ინიციატივით 29 მაისი გამოგვეცხადებინა მეგრული ენის დღე! მივიჩნიეთ, რომ გენიალური ენათმეცნიერის მამანტი ძამამიას დაბადების დღეს ამ დღესასწაულის დაწესება სწორედ რომ უპრიანი იქნებოდა!..

ძვირფასო თანამემამულენო! მაშ, ვიყოთ მეგრული ენისადმი სოლიდარულნი! კოლხ-იბერევი! ვადინაფელას მარბალური ნინა!

უფლება, პალატიკობისა და პასუხისმგებლობის გარეშე დიდი ბოროტებაა, დამუშავალია ყოველისა თქვენი



არავისათვის ჭკუის დარიგებას ან დამოძღვრას არ ვაპირებ. უბრალოდ, მინდა ვისარგებლო უახლოესი ოცდაათი წლის განმავლობაში დასავლეთის მხრიდან ჩვენს ქვეყანაში ქარიშხალივით შემოჭრილი დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარით „საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებით“. იმ უფლებისა, რომელიც დაცული და გაწონასწორებული არ არის შესაბამისი ვალდებულებითა და პასუხისმგებლობით. ეს კი „შეუზღუდავ“ კერძო საკუთრებასთან ერთად უდიდესი ბოროტებაა საზოგადოებისათვის და მეც დროებით ვისარგებლებ ამ თავისუფლებით და შევხსენებ საპარლამენტო არჩევნების მართონში ჩაბმის მსურველებს, რომ ერის და ქვეყნის ანუ სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილდღეობისათვის სამსახური ყველა შერაცხადი ქართველისათვის დიდი პატივი და წმიდაა წმიდა მოვალეობაა. ამისათვის აუცილებელია ერისა და ქვეყნისათვის უანგარო სამსახურის სულისკვეთებით განმსჭვალული თავდადება, რომელიც ხელეწიფებათ მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებული უმაღლესი ხარისხის პროფესიონალ მამულეშიელებს – „სუფთა ხელებით! ცხელი გულით! და ცივი გონებით!“ რასაც უახლოესი 30 წლის განმავლობაში სრულიად მოკლებული იყოს სამივე ხელისუფლება დღევანდელის

ნათვლით. მხოლოდ ასეთი კადრები უნდა ედგინებინათ პოლიტიკურ პარტიებს და არა ისეთები, რომლებიც პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად არა ხელისუფლების, არამედ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად დაუბუფებენ ამერიკის, ევროპის, რუსეთის თუ თურქეთის სახელმწიფოებში იმის დასამტკიცებლად, რომ თითოეულ მათგანს სხვაზე უკეთ შეუძლიათ შესრულონ ყველა მათი მითითებები საკუთარი სამშობლოს ინტერესების დასაცავის ხარჯზე. „ძირს ყველა ასეთი მობუფებენი!“ მათ მიიყვანეს ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე. უარი ეთქვას ამ მიზნით საზღვარგარეთ მოხეტიალეებს, ვინც არ უნდა იყოს ისინი.

დღეს დვთისმშობლის წილხდომილ ჩვენს ქვეყანაში თითქმის უგულვებელყოფილია დემოკრატიის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი კანონებით ცხოვრება. ზნეობრივი გადაგვარების ამ ფონზე ქვეყანა მოიცვა მლიქვნელმა, ანგარებიანმა, ფარისევალმა, გაუმაძღარმა, ზნეობრივად შეუსაბამო მონვენებითა მამულიშვილებმა, როგორც საერთო ისე სასულიერო საზოგადოებაში, რომელთა ძირითადი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ სიცოცხლის დარჩენილი წლები ახლო ნათესაგებთან და მეგობრებთან ერთად ზღვარგადასულ ხორციელ სიამტკბილობაში გაატარონ და იმ დოზით იმლიქვნელონ, რომ ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ ე.წ. საზოგადო და სახელმწიფო „მოღვაწეობა“ თუ მოაწმინდის ან დიდების პანთეონებში ვერა, საბურთალოს პანთეონებში მაინც პპოვონ სამუდამო განსახლება, ხოლო დვთის მსახურებმა თუ ეკლესია-მონასტრების შიგნით ვერა, ეზოში-მაინც. ზნეობრივად ასეთი გადაგვარების მიუხედავად უფალი ჩვენი ისეო და დვთისმშობელი მარიამი ჯერ-ჯერობით საკადრისად არ გვეხდებიან, რამეთუ ჩვენს შორის ჯერ კიდევ არიან ჭკუშიარტი მართლმადიდებლები, ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ გვაფრთხილებენ მომრავლებული სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიებით და სხვა ვითარებებით, რომ დროულად მოვეყოლოთ გონს, დაუბრუნდეთ დვთის მიერ ადამიანისათვის დადგენილი ზნეობრივი კანონებით ცხოვრებას, რომ თავს არ დაგვაცდეს სრულიად გამანადგურებელი დვთის რისხვა. გვახსოვდეს რომ როგორც „შეუზღუ-

დავი“ კერძო საკუთრება, ისე შიშველი „უფლება“ შესაბამისი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გარეშე, საფუძველია ადამიანთა ყველა უბედურებისა.

ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთ ციციქნა, საოცარ საქართველოში ორასზე მეტი პოლიტიკური პარტია იბრძვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ამას რჩენია ის გარემოება, რომ იუსტიციის ორგანოებთან კვლავ დგანან რიგში ახალი და ახალი პოლიტიკური პარტიების ლიდერები რეგისტრაციაში გასატარებლად. ერთიანად მათი კაროდენობა კატასტროფულად იზრდება. „კატასტროფულად“ უკვე ვამბობ, იმიტომ რომ დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკური სიღატაკის პირობებში ამომრჩევლები ორასზე მეტ პოლიტიკურ პარტიებშია გაფანტულ-დაქსაქსული, ვედარ არჩევნებს ავსა და კარგს, შავსა და თეთრს, უმეტესობა უარს აცხადებს საარჩევნო უბნებში მისვლაზე, მაგრამ ვინც მივა მშვიერი ამომრჩევლები ხმას იმას მისცემს ვინც მეტ „ფორიან კამფეტებს“ დაურიგებს მათ, რაც გამოიწვევს არჩევნების უსაზღვროდ გაყალბებას, ამომრჩეველთა დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის საფრთხეს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთ განშკითხობას აშკარად ხელს უწყობს და აქეზებს ქვეყნის შიგნით მყოფი აშკარა ანტიეროვნული ძალები და საზღვარგარეთიდან მათი დამფინანსებლები და რით შეიძლება დამთავრდეს ყოველივე, ალბათ გასაკვირია ყველა საღად მოაზროვნე მოსახლეობისათვის მით უმეტეს იმიტომ, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიათა ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა მოკლებულია ზნეობრივ კრიტერიუმებს.

იბადება სამართლიანი, არგუმენტირებული კითხვა: სად არის ქვეყნის ინტელიგენცია, ეროვნული აკადემია, დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიკოსები, ტრადიციული და არა ყველა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, რომლებიც ერისა და ქვეყნის საყრდენი ბურჯი უნდა იყოს. რატომ არ არიან ერთად, რატომ არიან გაათითოკაცებული, ხელჩაქნეული. რატომ არჩევნებ და იყენებენ დუმილის უფლებას. ვის მიუგდეს ერისა და ქვეყნის ბედი. რატომ არ იმალდებენ ხმას ყველა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც არა-

მარტო არჩევნების, არამედ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ხდებოდა და ხდება დღეს საქართველოში. სხვას რომ თავი დაეანებოთ ჩვენ ხომ დღეისათვის ასზე მეტი ეროვნული ადადემიისა და დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიკოსები გვყოლია. რატომ არ იხმის მათი სამართლიანი მრისხანე ხმა მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით. ყველას გახსოვთ ავად სახსენებელი სააკაშვილის მიერ ინტელიგენციის მისამართით ნათქვამი „ჩარტეხილები“ და მას ვერავინ მცირედი გამოხატვის გარდა ვერავინ საწინააღმდეგო აზრი ვერ გამოთქვა. მაშინ რა საჭიროა ამ უხარმაზარი არმიის შენახვა ქვეყნის პენსიონერებისა და ინვალიდების გაძვალტყავებელი ზურგიდან უსამართლოდ გაზრდილი კომუნალური გადასახადებით ატყავებული ფულით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან? იმედს ვიტოვებ რომ ეს არ არის. მათ რიგებში ჯერ კიდევ მოიპოვება ჭკუშიარტიად ეროვნული და მყარი ცოდნით აღჭურვილი არამარტო აკადემიკოსები, არამედ სრულიად ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც. მთავარია შიშის გრძობის გაბედულად დაძლევა, ერთმანეთის მონახვა და მიპაპავენ ბოლო დროს დვთისმსახურთა გააქტიურებას სამშობლოს ერთიანი ძალით გადასარჩენად:

„დიდი ომის ანდამდს: „მამული, ენა, სარწმუნოება“ პატრიარქის შებონებას: „დემოტი, მამული, ადამიანი!“ ჩამბან მე დავშმაბამდო: წარსული, აწმყო და მომავალი!“

აი, რა არის ბადასარჩენი, სამი საუნჯე მს სამეშლი!

ბულის შიგნით ალსაბუჯაში, და ბრძოლა-მისთვის თავდადებულნი!

ხმალი ავლსოთ არა ვოლადის! ხმალი ავლსოთ ბონემარში!

მს არის ჩვენი დღეს ბათამბოვეში, ძველნის იმედი და გადამარჩენი!

დემოტი იყოს ჩვენი და ყველა პატრიოტული სულისკვეთების მქონე ადამიანის მფარველი!

რეზაზ კიბორძალიძე /ჭაშლელი/, შრომის, ომისა და სამხედრო ძალების გეტერან, პოლკოვნიკი, ტელ: 599 91-29-61

ლომის ღოგი — სიმინდის “ქართული ნინაპარი”



ვიდრე კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა, იქიდან XVII საუკუნეში ჩვენთან სიმინდს შემოიტანდნენ და მისგან ღომის მომზადებას შეუდგებოდნენ, ამ კერძის მომზადება და გემო ჩვენში მანამდე იცოდნენ. საქართველოში ნამდვილი ღომის კულტურა მოპყავდათ, რომელსაც ახლა ღომის ღომს უწოდებენ.

ღომი ერთ წლოვანი კულტურული მცენარეა და ახალაღმოცენებული, სიმინდსაც ჰგავს. მაგრამ 1 მეტრამდე აღწევს და თავთავი მიახლოებით ხორბალს მიუგავს, თუმცა ზომით გაცილებით დიდია.

ღომი სიმინდთან ერთად ითესებოდა, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში, სადაც ღომის რამდენიმე ჯიში მოპყავდათ: ადრეული, საშუალო და საგვიანო ჯიშები, — “შეიდკირა”, “ორმოსავალა” და სხვა, რომლებიც დღესაც დაიწყების პირას დგას. საბედნიეროდ, ბოლო წლებში გამოჩნდა ხალხი, რომელიც ღომის აღორძინებაზეც ზრუნავს.

ოზურგეთში, სოფელ ბახვიში სოსო გიგინეიშვილს ოჯახში ღომი გამორჩეულად იცოდნენ და აქვთ დათესილი:

“ღომი ჩემს წინაპრებსაც მოპყავდათ. სახლის უკან წყალი ჩამოვიდის, რომელიც სოფელში გაბრეულ ეპისკოპოსმა (გაბრეულ ქიქოძე ჩვენი სოფლიდან იყო) შემოაყვანინა და ამ წყალზე წისქვილი ააგებინა, იქვე

ღომის საცეხვი ჩამური ჩაადგმევინა და ოჯახში სტუმრებისთვის ეს უგემრიელესი კერძი მუდამ მზად ჰქონდა. მერე გურია სიმინდმა დაიპყრო და ღომსაც მისგან ვამზადებდით:

თუმცა ბავშვობის მეხსიერება გაუხუნარია, გასულ მძიმე წლებში ჩოხატაურში ღომი ვნახე და მისი გემო გამახსენდა, იმ კაცს ღომის თესლი გამოვართვი და ეზოში პატარა ადგილზე დაეთესე. პირველივე წელს ძალიან ნაყოფიერად დაიხსა, — ღომი ყველაფერს უძლებს, სიცხესაც და ღვინოსაც. ძალიან წვრილი, ყვითელი მარცვლები აქვს, უკვე გამხმარი სწრაფად იფშენება, დიდი წვალეა და დრო არ სჭირდება.

— ანუ უკვე მოწეულ ღომს ხელით ამუშავებთ?

— ჯერჯერობით ჩვენში ღომის კი არა, სხვა უფრო გავრცელებული მარცვლეულის მექანიზაციაც არ არსებობს. ძველ საქართველოში სიმინდის ღომი ვერავის წამოეღვინა, მაგრამ მან ძალე ნამდვილი ღომი მისწია გვერდით, — სიმინდისგან ხომ მხოლოდ ღომს არ ვხარშავთ, მჭადსაც ვაცხობთ და პირუტყვის საკვებიცაა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ღომზე უფრო სასარგებლოა.

ღომის ღომს რომ შეჭამ, მთელი დღე არ მოგშივდება, სიმინდის ღომს რომ შეჭამ, სამ საათში ისევ მშვიერი ხარ! გურიაში ასეთი გამოთქმა არსებობს, — სიმინდის ღომი ჭინჭრამდე მიგყვება, ღომის ღომი კი მზის ჩასვლამდე... ასე რომ, რაც პირველად დაეთესე, იმის შემდეგ ღომისთვის თავი არ გამინებებია.

— ამ კულტურას სავეტერცარი პერიოდი როგორი აქვს, მოსაწეად დიდი დრო სჭირდება?

— გურიაში, სიმინდის მსგავსად, ღომი აპრილში ან მაისის დასაწყისში ითესება.

მაგრამ მოსავლის მიღების ვადის მიხედვით არსებობს ძალიან საადრეო (60 დღე), საადრეო (61-80 დღე), საშუალო (81-100 დღე), საგვიანო (101-120 დღე) და ძალიან საგვიანო (120-ზე მეტი დღე) ჯიშები. ცხადია, ისინი მოსავლიანობითა და ხარისხითაც განსხვავდებიან. თუ ღომის ღომზე მეტი მოთხოვნილება განდებია, მეტიც დაითესება და ჯიშებსაც შეარჩევნ. იმდენად გემრიელია, შემოვა თუ არა, ჩიტები ესევიან. ისე შემადონეს, რომ მათთან საბრძოლველად გამოგონებაც კი დაგვინებენ. რამდენიმე ძირის თავთავებს შევატყუებ, მოგკონავ და ტომარას ჩამოვაცემე. აი, ასე ვჯობნი ჭკუით ჩიტებს, თანაც ღომის შეფუთვა სულ კი არ არის საჭირო, მხოლოდ 15 დღე, როცა ღომი მწიფობაში შედის.

პატარა ტილოს ტომრები დამწიფებას სულაც არ უშლის ხელს, — პაერიც შედის და მზის სხივებიც ათბობს. მერე კი ღომს აჭრით, შეგკონავთ და გავახმობთ. ამისთვის ღომის შეგკონავთ თხემელის ფოთოლს გაფურტობთ. როცა ფოთოლი კარგად გახმება, ღომიც გამხმარია. მერე კი ჩენროსგან გამოვაცლით. ღომის ღომის ჩენროც და ჩალაც ისევე გამოიყენება პირუტყვისთვის, როგორც სიმინდის...

— ჩანურზეც მითხარით რაიმე...

— ჩანური ადრე ალბათ მთელ გურიას ედგა წისქვილებთან, რათა ღომის ღომი გამოეცხებოდა, მაგრამ ახლა სამწუხაროდ, ძალიან ცოტას აქვს შემორჩენილი. გამოცხება საინტერესო სასურველია, როცა ჩემს ღომს გვეცხავა, შეგვურებ და თითქოს ვმშივდებო. პრინციპი ასეთია, — წყალი ღომისთვის გაკეთებულ ხის უროს-საცხეხავს ისე ამოძრავებს, როგორც წისქვილის ქვას, ოღონდაც, უფრო ნელა და რიტმულად. ხის ურო-საცხეხვი ჩანურში ჩადი-ამოდის და შიგ ჩაყრილ ღომს ძლიერად ურტყამს. მარცვალს სცილდება

ყვითელი ჩენრო, რომელიც ღომს მოხარშვისას არ უნდა შევყვეს. დაცხვილ ღომს გობიდან გობში გადავყრ-ვადმოყვით და ქარზე გამოვრეკავთ.

ეს ნიშნავს, რომ ქარს გამოცხვილი ჩენრო მიაქვს, სუფთა ღომს კი ტოვებს. მოხარშვისას 1 ჭიქა ღომს 5 ჭიქა წყალს დაეახსამთ და მანამდე ვხარშავთ, სანამ ნამდვილი ღომი არ გახდება, ამას ყველა დასახლის გრძობს. დარწმუნებული ვარ, ჩანური ღომს განსაკუთრებულ გემოს აძლევს, მაგრამ თუკი ღომს მოვიყვანო, მისი დაფქვეც შეიძლება და დაუფქველად მოხარშავ. მთავარია, რომ ხარშვისას ხის ჩოგანით ჩაიხილოს.

— დასავლეთ საქართველოში უმეტესად ხის წისქვილებია, თქვენი წისქვილი კი ლითონის ფირფიტებით არის აშენებული, რატომ?

— იმ წლებში, როცა საქართველო ჩაბნელდა, გადავწყვიტე წყალზე, რომელიც საბედნიეროდ, ჩემს ეზოში ჩამოდის, მიკროპეის და წისქვილი როგორმე ერთად გამეკეთებინა. ხის წისქვილი ჰესთან ერთად არ გამოდგებოდა და ამიტომ ლითონის უნდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ორივემ შეძლო თავისი ამოცანის შესრულება. ამ ჰესის წყალობით სრულ უკუნეთში შექი მქონდა.

— ფუტკარიც გყოლიათ...

— თაფლსაც ვყიდი. ფუტკარს ჩემი ვაჟიც უყვლის, უფრო სწორად, ამ საქმეში ის არის წარმმართველი, სკვები მან გააკეთა. მაღალი სახურავები აქვს. მეფუტკრეობა ვინც იცის, მიხვდება, რომ ჩვენ ფუტკრის მომთაბარეობას არ მივმართავთ, ერთი ადგილიდან მოვრეხე არ გადაგვყავს. ვინც ფუტკრის მომთაბარეობას მიმართავს, იმათ სკვებს ბრტყელი სახურავები აქვს, — სკვებს ერთმანეთზე აწყობენ და ისე გადააქვთ.

თეიმურაზი

„ხელისუფლების სვლილბა შედგას მანამ არ მოიხანს, სანამ ეპროპაქიკული იმპერიული ღემოკრატიული კლანტილიან თაჰს არ ღაჰიხსნიო“

„რაც უნდა ჭირი მამკერძოთ, ბილწო არ შეგეკერი ზავიო!“

